

საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტო

საქართველო

მსოფლიო ბანკის მიერ

დაფინანსებული

ირიგაციის და მიწის ბაზრის

განვითარების პროექტი

მიწის სისტემური რეგისტრაციის

საერთაშორისო კონსულტანტი

# მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის სახელმძღვანელო პრინციპები

ავტორი ვალენტინ კოცევი

# დოკუმენტაციის ნუსხა

ვერსია	თარიღი	ავტორი	აღწერა
1.0	15 ნოემბერი, 2016	ვ. კოცევი	წინასწარი პროექტი
1.1	17 ნოემბერი, 2016	ვ. კოცევი	მცირე ცვლილებები განხორციელდა 0-ელ, 23-ე და 24-ე თავებში დაემატა სურათი 2
1.2	6 თებერვალი, 2017	ვ. კოცევი	ცვლილებები განხორციელდა 0-ელ, მე- <b>Error! Reference source not found.</b> , მე-8, მე- <b>Error! Reference source not found.</b> თავებში და დანართ N2-ში. დაემატა სურათი 3
1.3	8 თებერვალი, 2017	ვ. კოცევი	ცვლილებები განხორციელდა 27-ე თავში
1.4	24 თებერვალი, 2017	ვ. კოცევი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროექტში რიგი ცვლილებები შევიდა
1.5	25 თებერვალი, 2017	ვ. კოცევი	ცვლილებები შეტანილია Track change-ის ფორმატში
2	16 მარტი, 2017	ვ. კოცევი	ცვლილებები მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად
2.1	20 აპრილი, 2017	ვ. კოცევი	ცვლილებები მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად. დაემატა აბრევიატურების განმარტებები, განსაზღვრებები და მითითებები. დაემატა 3-ე, 3-ე, 28.6-ე და 38.3-ე თავები. ცვლილებები შევიდა 12.1-ე და <b>Error! Reference source not found.</b> -ე თავებში. დამატებები შევიდა 1-ელ დანართში. დაემატა მე-4 დანართი
2.2	26 აპრილი, 2017	ვ. კოცევი	ცვლილებები მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად. ცვლილებები შევიდა 28.6-ე, <b>Error! Reference source not found.</b> -ე, 3-ე, 28.6-ე, <b>Error! Reference source not found.</b> -ე და 38.3-ე თავებში.
2.3	16 მაისი, 2017	ვ. კოცევი	დასკვნითი ცვლილებები



# შინაარსი

---

დოკუმენტაციის ნუსხა .....	2
შინაარსი .....	4
სურათები.....	8
ცხრილები .....	8
შესავალი .....	9
რეზიუმე.....	10
განმარტებები .....	11
შესავალი .....	16
საპილოტო პროექტის მიზანი.....	19
ფუნქციები და ვალდებულებები .....	20
1. მონაწილე მხარეები .....	20
2. საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდი .....	20
2.1. პროექტის მენეჯერი.....	21
2.2. ფინანსური მენეჯერი.....	21
2.3. პროექტის მენეჯერის ასისტენტი .....	21
2.4. შესყიდვების სპეციალისტი .....	22
2.5. იურისტი .....	22
2.6. გეოდეზისტი .....	22
2.7. პროგრამისტი .....	23
2.8. რეგიონული ფასილიტატორი.....	23
2.9. მუნიციპალური სამუშაო ჯგუფები .....	23
3. ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტი .....	25
4. გეოდეზიის და გეოინფორმაციის დეპარტამენტი.....	25
5. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება .....	26
6. საკუთრების უფლების აღიარების კომისია .....	26
7. კონტრაქტორები .....	26
8. დაინტერესებული პირები.....	27
პროცესის აღწერა.....	27
მოსამზადებელი ღონისძიებები .....	31
9. დოკუმენტაციის მომზადება.....	31
10. ტექნიკური საველე სამუშაოებისთვის ხელშეკრულებების მომზადება .....	32
11. საპილოტო არეალისთვის მონაცემების მომზადება .....	33
12. კონტრაქტორისთვის მიწოდებული მონაცემები .....	33

13.	სასწავლო სემინარები.....	35
14.	კონტრაქტორის მოსამზადებელი საქმიანობა .....	36
14.1.	დეტალური სამუშაო გეგმა .....	36
14.2.	კონტრაქტორის ოფისი .....	36
14.3.	სამუშაო გრაფიკი .....	37
	საზოგადოების ინფორმირებულობა .....	37
15.	საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის მოსამზადებელი სამუშაოები .....	38
16.	დანტერესებული პირების რეგისტრაციის პროცესში ჩართვისთვის მისაღები ზომები.....	39
17.	შეხვედრა საპილოტო არეალის მოსახლეობასთან .....	39
18.	რეგიონული ფასილიტატორის მონაწილეობა .....	40
19.	კონტრაქტორის მონაწილეობა.....	41
	ტექნიკური საველე სამუშაოები .....	41
20.	მეთოდოლოგია და სამუშაოების აღწერა .....	41
21.	მონაცემების ანალიზი და საველე სამუშაოების მომზადება .....	42
22.	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის დადგენის პროცედურები.....	43
23.	აზომვითი სამუშაოების პროცედურები და სტანდარტები .....	44
24.	საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემების და დოკუმენტაციის შეგროვება .....	46
25.	დაინტერესებული პირების იურიდიული დახმარება .....	48
26.	კონტრაქტორის მიერ წარსადგენი მასალები .....	48
26.1.	საველე სამუშაოების დროს წარმოდგენილი მონაცემები .....	48
26.2.	საჯაროდ გაცნობამდე წარმოდგენილი მონაცემები .....	50
26.3.	აზომვის შედეგების გადამოწმებისას წარმოდგენილი მონაცემები.....	51
26.4.	მონაცემების საბოლოო წარმოდგენა .....	51
26.5.	ელექტრონული ფაილების დასახელებები.....	52
	დოკუმენტაციის განხილვა.....	53
27.	პროცედურები და ანალიზი პროექტის ძირითადი გუნდის მიერ .....	54
28.	საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნები .....	55
28.1.	მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია .....	55
28.1.1.	სარეგისტრაციო დოკუმენტების ლეგალიზების საფუძვლები .....	55
28.1.2.	საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი .....	56
28.1.3.	მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის დამატებითი პირობები .....	57

28.2.	მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობზე საკუთრების საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესი .....	59
28.3.	სხვა პირების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია 60	
28.4.	თვითნებურად დაკავებული მიწები, რომლებიც ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას.....	61
28.5.	თვითნებურად დაკავებული მიწები, რომლებიც არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას.....	61
28.6.	თვითნებურად დაკავებულმიწაზე საკუთრების უფლების აღიარების წესი	63
29.	ტიპური პრობლემების მოგვარება .....	65
29.1.	თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები.....	65
29.2.	სასაზღვრე მიჯნაზე მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობა .....	66
29.3.	მყარი სასაზღვრო მიჯნით შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია .....	66
29.4.	რეგისტრაცია არასრულყოფილი ან ურთიერთშეუსაბამო საიდენტიფიკაციო მონაცემების არსებობის შემთხვევაში .....	67
	საჯაროდ გამოცხადება .....	69
30.	კონტრაქტორის მომზადება და მონაწილეობა .....	70
31.	წარსადგენი დოკუმენტაცია .....	70
32.	განცხადება.....	70
33.	პროექტის ძირითადი გუნდის სამუშაო .....	71
34.	კონტრაქტორის სამუშაო.....	71
35.	საკადასტრო აღწერის შედეგების გადამოწმება.....	72
	ხარისხის კონტროლი .....	73
	საჩივრების განხილვა .....	73
	დავების გადაწყვეტა .....	74
36.	დავების გადაწყვეტის არაოფიციალური მექანიზმი.....	74
36.1.	კონტრაქტორის მონაწილეობა .....	74
36.2.	რეგიონული ფასილიტატორის მონაწილეობა .....	75
37.	დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი.....	75
	რეგისტრაცია.....	76
38.	რეგისტრაციის მოთხოვნები .....	76
38.1.	მართლზომიერ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია .....	76
38.2.	მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირების საკუთრების უფლების რეგისტრაცია.....	78

38.3. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა .....	78
გამოყენებული დოკუმენტაციის ნუსხა .....	79
კანონები .....	79
კანონქვემდებარე აქტები .....	79
სახელმძღვანელოები .....	80
სხვა 80	
1-ლი დანართი. კომუნიკაციის სტრუქტურა და სამოქმედო გეგმა მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ქაჩაღულხად .....	81
საპილოტო პროექტის ბროშურები .....	87
Flayer on Women’s Property Rights .....	99
დანართი 2. საკადასტრო საველე სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაციები .....	101
დოკუმენტის დანიშნულება .....	101
ტექნიკური საველე სამუშაოების ზოგადი აღწერა .....	101
დანართი 1. აზომვის მეთოდები და სიზუსტე .....	103
კოორდინატთა სისტემა .....	103
პოზიციონირების სიზუსტე .....	103
აზომვის მეთოდები .....	103
გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემით (GNSS) აზომვა .....	103
აზომვარეალური დროის რეჟიმში კინემატიკური (RTK) მეთოდით .....	104
სტატიკური, სწრაფი სტატიკური და Stop & Go მონაცემების დამუშავება .....	104
გეოდეზიური სისტემის (Geo-CORS) გამოყენება .....	104
ტაქეომეტრით აზომვა .....	105
საველე ნახაზები .....	105
დანართი 2. აზომვითი სამუშაოები .....	107
მოსამზადებელი სამუშაოები .....	107
ადგილის აღწერა .....	107
დანართი 3. საკადასტრო აზომვითი/აგეგმვითი ნახაზები .....	109
მუხლი 1. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ცნება და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის ვალდებულება .....	109
მუხლი 2. საკადასტრო აღწერის ზოგადი ტექნიკური პირობები .....	110
მუხლი 3. საკადასტრო საზღვრის აღწერილობა .....	111
მუხლი 4. საკადასტრო აღწერის დროს მოპოვებული ფოტომასალა .....	111
მუხლი 5. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ქალაქის ვერსიის შევსების ინსტრუქცია .....	111

მუხლინ. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ფორმა .....	111
მუხლი 7. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის გრაფიკული მონაცემები .....	114
მუხლი 8. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ტექსტური ნაწილი.....	123
მუხლი 9. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია .....	126
დანართი 4. გასაჯაროებისთვის ვიზუალური და ტექსტური მონაცემების მომზადების პროცედურები .....	130
mesakuTreTa monacemebis nusxa .....	134
დანართი6. სადავო საზღვრების დადგენის ოქმი სქემატური საზღვრით .....	136
დასაწყისში წერია სადავო, უნდა იყოს სადავო.....	136
დანართი 3. დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება (მედიაცია).....	138
დანართი 4. დოკუმენტების ფორმები .....	144

## სურათები

---

სურათი 1.საპილოტო პროექტის ფართობების მდებარეობა.....	18
სურათი 2. სისტემური რეგისტრაციის ძირითადი ეტაპები.....	28
Figure 3. Workflow of systematic registration in pilot areas.....	30
Figure 4.Goals and approach to communication strategy.....	82

## ცხრილები

---

ცხრილი 1. საპილოტო პროექტის ფართობები.....	18
ცხრილი 2. საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდი.....	20
ცხრილი 3. ფაილების პირობითი დასახელებები .....	52
Table 4.Action plan for raising public awareness.....	83

# შესავალი

---

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია სახელმძღვანელო პრინციპები, რომლითაც უნდა იმოქმედოს საჯარო რეესტრმა და მისმა კონტრაქტორებმა მსოფლიო ბანკის „ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ მიწის რეგისტრაციის პროგრამის საპილოტო ფაზის ფარგლებში.

ამ დოკუმენტის მომზადებისას ავტორი დაეყრდნო სხვადასხვა წყაროს, მათ შორის სახელმძღვანელოებს, სტანდარტებს, სახელმძღვანელო პრინციპებსა და ტექნიკური დოკუმენტაციას. ის გაეცნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) გეოდეზიურ და საკადასტრო აზომვებში მონაწილე თანამშრომლების შეხედულებებს. აღნიშნულმა ინფორმაციამ თავი მოიყარა სახელმძღვანელო პრინციპებში და ის განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ფუნქციებს და ვალდებულებებს, აგრეთვე შეიცავს მარტივ ინსტრუქციებს სისტემური რეგისტრაციის პროცესის განსახორციელებლად.

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებში ასახულია 2016 წლის კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“.<sup>1</sup>

1-ლი დანართი წარმოადგენს მიწის რეგისტრაციის საპილოტო პროექტის საკომუნიკაციო სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას, რომელიც მომზადდა USAID-ის G4G-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ ფარგლებში.

მე-2 დანართი საწყის ეტაპზე მოამზადა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიის და გეოინფორმაციის დეპარტამენტმა, თუმცა შემდეგ ის გადაკეთდა და სისტემური რეგისტრაციის პროცესთან მეტად თავსებადი გახდა. მას დაემატა ორი ახალი თავი, კერძოდ „აზომვის მეთოდები, სიზუსტე, და აზომვითი სამუშაოები“. მრავალრიცხოვანი ცვლილება შევიდა თავებში „დოკუმენტის დანიშნულება“, „ტექნიკური საველე სამუშაოების ზოგადი აღწერა“ და „საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები“.

მე-3 დანართში წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის მინისტრის №153 ბრძანება „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის, საკადასტრო აღწერის შედეგების საჯარო

---

<sup>1</sup> შემდგომში - „სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონი“.

გაცნობისთვის წარდგენის, მათი გადამოწმებისა და შესაბამისი ცვლილების შეტანისა და მედიატორის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ".<sup>2</sup>

## რეზიუმე

---

**მიზანი.** წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მიწაზე საკუთრების უფლების სისტემური რეგისტრაციის სახელმძღვანელოს პირველად პროექტს, რომელიც მომზადდა მსოფლიო ბანკის „ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსებული მიწის რეგისტრაციის პროგრამის საპილოტო ფაზისთვის.

**მიმოხილვა.** სახელმძღვანელოში აღწერილია სისტემური რეგისტრაციის პროცესის კომპონენტები, სამუშაოს მიმდინარეობა, პროცესები, როლები/ფუნქციები და ხარისხის კონტროლი.

---

<sup>2</sup> შემდგომში - „სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესი“.

# განმარტებები

---

ქვემოთ წარმოდგენილ ტერმინთა უმრავლესობა განმარტებულია სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონში. დანარჩენი განმარტებების წყარო მითითებულია შენიშვნებში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სამოვარი, სათიბი, სახნავი (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბალე, საბოსტნე) ან საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.
საკადასტრო მონაცემები	ზუსტი გრაფიკული და ტექსტური ინფორმაცია მიწის ნაკვეთის, აგრეთვე მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, მათ შორის ხაზობრივი ნაგებობის, სერვიტუტების და სხვა სამართლებრივი შეზღუდვების საზღვრების, კონფიგურაციისა და ადგილმდებარეობის შესახებ <sup>3</sup> .
საკადასტრო რუკა	დოკუმენტი, რომელიც ასახავს კონკრეტული ტერიტორიის საკადასტრო მონაცემებს, ინფორმაციას ამ ტერიტორიაზე უფლებარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების, ნაგებობების, მათი საკოორდინატო ბადისა და საკადასტრო კოდის შესახებ, ასევე ამ მიწის ნაკვეთსა და ნაგებობებზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. <sup>4</sup>
საკადასტრო გეგმა	მიწის ნაკვეთის საკადასტრო და გრაფიკული მონაცემების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, მისი ფართობის, კონფიგურაციის, დანიშნულების, საკოორდინატო ბადის, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისა (მათ შორის, მშენებარე) და მათი სართულიანობის, ასევე

---

<sup>3</sup>წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებისთვის ეს მონაცემები უნდა შეგროვდეს სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-3 მუხლის 1-ელი პარაგრაფის ო) ქვეპარაგრაფის შესაბამისად.

<sup>4</sup>საქართველოს იუსტიციის მინისტრის №4 (15.01.2010 წ.) ბრძანების მე-8 მუხლის მე-5 პარაგრაფი.

ამ მიწის ნაკვეთზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.<sup>5</sup>

საკადასტრო  
აგეგმვითი/აზომვითი  
ნახაზი

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების<sup>6</sup> მოთხოვნათა დაცვით შესრულებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი დოკუმენტი.

დაინტერესებული პირი

ფიზიკური პირი, ასევე მისი სავარაუდო მემკვიდრე ან უფლებამონაცვლე, რომელიც მართლზომიერად ფლობს (სარგებლობს) ან რომელმაც თვითნებურად დაიკავა სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), ასევე ის ფიზიკური პირი რომელმაც სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით მოსარგებლისაგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძინა/მოიპოვა ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება.<sup>7</sup>

არამართლზომიერ  
მფლობელობაში  
არსებული მიწა

ამ კანონის ამოქმედებამდე

- ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული);
- დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ

<sup>5</sup>საქართველოს იუსტიციის მინისტრის №4 (15.01.2010 წ.) ბრძანების მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფი  
<sup>6</sup>შეიქმნა წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებისთვის

<sup>7</sup>საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“.

მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომელიც საკუთრების უფლების ადიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც აკმაყოფილებს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის მოთხოვნებს.<sup>8</sup>

არამართლზომიერი მფლობელობა

იხ. არამართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწა.

მიწის ნაკვეთი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე.

მიწათმოსარგებლე

ფიზიკური პირი, რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე ფაქტობრივად ფლობს მიწის ნაკვეთს, როგორც საკუთარს, საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთან ფორმის დაუცველად დადებული გარიგების საფუძველზე.

მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწა

სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც (მიწის ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე) ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, ასევე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 1994 წლამდე თვითნებურად

<sup>8</sup>საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების ადიარების შესახებ“.

დაკავებული მიწა.<sup>9</sup>

მართლზომიერი სარგებლობა	იხ. მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწა.
მართლზომიერი მფლობელი	ფიზიკური პირი, რომელსაც მესაკუთრედ რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე წარმოეშვა.
მედიაცია	სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონით დადგენილი წესით დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება.
მედიატორი	პირი, რომელიც აკმაყოფილებს სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და წარმართავს მოლაპარაკებას მოდავე მხარეთა შორის .
სანოტარო მედიაცია	მედიაცია, რომელსაც წარმართავს ერთი ან ერთზე მეტი მედიატორი ნოტარიუსი. <sup>10</sup>
საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირი	პირი, რომელსაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე წარმოეშვა.
საპილოტო პროექტი	სახელმწიფო პროექტის კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემურ რეგისტრაციას და ხორციელდება გეოგრაფიული მრავალფეროვნების ნიშნით შერჩეულ საქართველოს 12 დასახლებაში.
სარეგისტრაციო ბლოკი	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში მდებარე მიწის ნაკვეთების ერთობლიობა.

<sup>9</sup> საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“.

<sup>10</sup> სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონში მოცემული განმარტებიდან გამომდინარე.

მართლზომიერი მფლობელი	ფიზიკური პირი, რომელსაც მესაკუთრედ რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე წარმოეშვა.
სპორადული რეგისტრაცია	სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაინტერესებული პირის განცხადებისა და მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, სისტემური და სპორადული კანონით გათვალისწინებული სპეციალური წესის შესაბამისად.
თვითნებურად დაკავებული მიწა	იხ. არამართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწა.
სახელმწიფო პროექტი	სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონით გათვალისწინებულ სისტემურ და სპორადულ რეგისტრაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელი საჯარო მმართველობითი სპეციალური ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდება ამავე კანონით დადგენილი შეღავათიანი წესებით მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებად რეგისტრაციის წასახალისებლად.
აგეგმვითი ნახაზი	იხ. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი.
სისტემური რეგისტრაცია	საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია პროაქტიულ საფუძველზე, სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონით გათვალისწინებული სპეციალური წესის შესაბამისად.
საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი	ადმინისტრაციული ხელშეკრულება(მიღება-ჩაბარები საქტი ან სხვა დოკუმენტი),ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტი, სასამართლოს (არბიტრაჟის) კანონიერ ძალაში შესული აქტი, გარიგება ან სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოშობს უძრავნივთზე საკუთრების უფლების

## შესავალი

---

2014 წლის 21 ნოემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემაჯავალ საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) შორის, გაფორმდა დაფინანსების ხელშეკრულება, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 13 მარტს. ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოსთვის 50 მილიონი აშშ დოლარის კრედიტის გამოყოფას, შერჩეულ არეალებში ირიგაციის და დრენაჟის სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისა და მიწის რეგისტრაციის ეროვნული პროგრამისთვის წესების და პროცედურების შემუშავების მიზნით. პირველი კომპონენტი ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლო მეორე კომპონენტი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით. (შემდგომში - „სააგენტო“)

მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტი ითვალისწინებს მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებათა სისტემურ რეგისტრაციას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №351 დადგენილებით განისაზღვრულ 11 საპილოტე არეალში, რომლებიც შედგება 12 დასახლებული პუნქტისაგან: კარალეთი (გორის მუნიციპალიტეტი), ჯიმითი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი), არბოშიკი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), არხილოსკალო (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), სალხინო (ვანის მუნიციპალიტეტი), მანგლისი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი), ზარიძეები (თიანეთის მუნიციპალიტეტი), ვედიდკარი (მარტვილის მუნიციპალიტეტი), ლახამულა (მესტიის მუნიციპალიტეტი), საგურამო (მცხეთის მუნიციპალიტეტი), მზისგული (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), შუახევი (შუახევის მუნიციპალიტეტი).

2016 წლის 3 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს საპილოტე პროექტის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს.

კანონში წარმოდგენილი ახალი რეგულაციები უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემური საკითხების მოგვარებას, როგორცაა: დაურეგისტრირებელი სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო

საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მათი ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა, სასაზღვრო მიჯნასთან ან/და ზედდებასთან დაკავშირებული დავები, საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტების არარსებობა ან/და დოკუმენტში არსებული ხარვეზები, შეუსაბამობები ფაქტობრივ მდგომარეობასა და დოკუმენტებს შორის, ფორმის დაუცველად დადებული გარიგებები.

საპილოტე პროექტი უზრუნველყოფს საკუთრების უფლებათა სისტემურ რეგისტრაციას, საკადასტრო აზომვების მაღალი სიზუსტით შესასრულებლად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, მეთოდოლოგიის მომზადებას და შედეგების შეფასებას, რომლის საფუძველზე „მიწის რეგისტრაციის ეროვნული პროგრამის“ განხორციელებისთვის შემუშავდება შესაბამისი მეთოდოლოგია და რეკომენდაციები.


მთელი ქვეყნის მასშტაბით გაშლამდე საპილოტო პროექტი საქართველოს 11 საპილოტო არეალზე გავრცელდება, რომელიც მოიცავს გეოგრაფიული მრავალფეროვნების ნიშნით და მიწათსარგებლობის მდგომარეობის საფუძველზე შერჩეულ 12 დასახლებას<sup>11</sup>, განახორციელებს მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვას და პროაქტიულ რეგისტრაციას (იხ. 1-ელი ცხრილი და 1-ელი სურათი). საპილოტო პროექტის ფარგლებში მოხდება საპილოტო ფართობებზე სააგენტოს მიწის რეგისტრაციის და საკადასტრო მონაცემების გაუმჯობესების სტრატეგიის ტესტირება და მიღებული იქნება მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ პოტენციური გამოწვევების შესახებ, რომელიც თავს იჩენს მთელი ქვეყნის მასშტაბით ამ სტრატეგიის განხორციელებისას.

---

<sup>11</sup>საქართველოს მთავრობის №351 დადგენილება „საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციისთვის შერჩეული დასახლებების ჩამონათვალი“, 1-ელი მუხლი

ცხრილი 1. საპილოტო პროექტის დაფარვის არეალი

დასახლება	მუნიციპალიტეტი	ლოტი
მანგლისი	თეთრიწყარო	ლოტი 1
ჯიშითი	გურჯაანი	ლოტი 2
მზისგული	საგარეჯო	
არბოშიკი	დედოფლისწყარო	
არხილოსკალო	დედოფლისწყარო	
ზარიძეები	თიანეთი	ლოტი 3
საგურამო	მცხეთა	
კარალეთი	გორი	
ვედიდკარი	მარტვილი	ლოტი 4
ლახამულა	მესტია	
შუახევი	შუახევი	
სალხინო	ვანი	ლოტი 5



სურათი 1. საპილოტო პროექტის გავრცელების არეალი.

# საპილოტო პროექტის მიზანი

---

საპილოტო პროექტის მიზანია საპილოტო დასახლებებში მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაცია. ეს პროცესი მოიცავს სრულ საკადასტრო აღწერას და კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწების მონაცემთა ბაზის შექმნას. საპილოტო პროექტის ფარგლებში უნდა გასწორდეს მონაცემებში არსებული შეუსაბამობები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს საკადასტრო ინფორმაციის ნაკლებობით ან დაუზუსტებელი საკადასტრო ინფორმაციით და სააგენტოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია იმ მიზნით, რომ: <sup>12</sup>

- დადასტურდეს მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების მათ ფაქტობრივ მდებარეობასთან შესაბამისობა;
- უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მონაცემების შესაბამისობა ნაკვეთების ფაქტობრივ მდებარეობასთან და სათანადო შესწორებების შეტანა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

საპილოტო პროექტის ფარგლებში სააგენტო საკუთარი ინიციატივით დაადგენს დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს და დაარეგისტრირებს ცვლილებებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების საფუძველზე, ადმინისტრაციულ წარმოებაში ყველა შესაბამისი მხარის ჩართვის უზრუნველყოფით.<sup>13</sup>

---

<sup>12</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-2 მუხლი.

<sup>13</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი.

# ფუნქციები და ვალდებულებები

## 1. მონაწილე მხარეები

საპილოტო პროექტის მონაწილე მხარეებს წარმოადგენს: საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდი, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, მედიატორი/მედიატორი ნოტარიუსი, მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, დაინტერესებული პირები, კონტრაქტორი, სახელმწიფო უწყებები მუნიციპალიტეტების ჩათვლით<sup>14</sup>, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

## 2. საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდი

საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდი, (იხ. ცხრილი 2) სააგენტოს პროექტების მართვის სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ, კონტროლს გაუწევს საპილოტო პროექტის ფართობებზე სავსე პერსონალს და საქმიანობას, მათ შორის პროექტის მონიტორინგის და შეფასების პროცესს<sup>15</sup>.

ცხრილი 2. საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდი

პროექტის მენეჯერი
ფინანსური მენეჯერი
პროექტის მენეჯერის ასისტენტი
შესყიდვების სპეციალისტი
იურისტი
გეოდეზისტი
პროგრამისტი

<sup>14</sup>ეს ტერმინი აღნიშნავს რაიონული დონის მუნიციპალიტეტებს.

<sup>15</sup>საპილოტო პროექტის სამუშაო გეგმა, 4.1.1 პარაგრაფი

## 2.1. პროექტის მენეჯერი

პროექტის მენეჯერი ახორციელებს სტრატეგიულ დაგეგმვას, შეიმუშავებს პოლიტიკის და დახმარებას უწევს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, იუსტიციის სამინისტროს და სხვა შესაბამის უწყებებს მიწების რეგისტრაციის საპილოტო პროექტთან მიმართებით სტრატეგიული გეგმების და პოლიტიკის შემუშავებაში. პროექტის მენეჯერი, პროექტის დაფინანსების ხელშეკრულების დებულებების და მსოფლიო ბანკის პროცედურების შესაბამისად ხელმძღვანელობს პროექტის დაგეგმვას, ბიუჯეტის შედგენას, ფინანსურ დაგეგმვას, აუდიტის მოთხოვნების შესაბამისად ანგარიშგების წარმოებას, შესყიდვებს, პროექტის იმპლემენტაციას, კადრებით დაკომპლექტებას და ლოჯისტიკურ საკითხებს. ის უძღვება და ორგანიზებას უწევს პროექტის მონიტორინგის და შეფასების ღონისძიებებს და უზრუნველყოფს საბაზისო და განმეორებითი კვლევების დროულად ჩატარებას. პროექტის მენეჯერი შეიმუშავებს ანგარიშგების სისტემას, რომელიც შეესაბამება პროექტის შედეგების შეფასების ჩარჩოს, ამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს დადგენილ ინდიკატორებთან მიმართებით პროგრესის ამსახველ ექვსთვიან და წლიურ ანგარიშებს.

## 2.2. ფინანსური მენეჯერი

ფინანსური მენეჯერი პასუხისმგებელია ფინანსურ მართვასა და სახსრების გახარჯვაზე საქართველოს მთავრობის და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. ის ხელმძღვანელობს პროექტის საბუღალტრო აღრიცხვის სისტემას, ამზადებს ფინანსურ ანგარიშებს, მონიტორინგს უწევს კონტრაქტების ფინანსურ იმპლემენტაციას, ამზადებს ანგარიშფაქტურებს, ანგარიშებს, ბიუჯეტს, ანგარიშსწორების ანგარიშებს, განმარტებებს და ფინანსურ უწყისებს.

## 2.3. პროექტის მენეჯერის ასისტენტი

დახმარებას უწევს პროექტის მენეჯერს პროექტის მართვის შიდა და გარე ასპექტებში, ახორციელებს პროექტის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მონაწილეობს გეგმების და ანგარიშგების მომზადებაში, აწარმოებს და ორგანიზებას უწევს პროექტის ფაილებს.

## 2.4. შესყიდვების სპეციალისტი

შესყიდვების სპეციალისტი ხელმძღვანელობს საქონლის, სამუშაოების, არასაკონსულტაციო და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვას ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტისთვის (ILMDP). ის ადგენს პროექტის შესყიდვების სისტემას, გეგმავს და აწარმოებს შესყიდვებს, კონტრაქტების იურიდიული და კომერციული ასპექტების ჩათვლით. ის ამზადებს შესყიდვების დოკუმენტაციას, მათ შორის შესყიდვების გეგმებს, შესყიდვების გრაფიკებს, ხელშეკრულებებს და კონტრაქტებს საქონლის და მომსახურების შესასყიდად. შესყიდვების სპეციალისტი უზრუნველყოფს შესყიდვების შესახებ განცხადებების და შეტყობინებების დროულ გამოქვეყნებას, აფასებს სატენდერო წინადადებებს, ამზადებს კონტრაქტებს/კონტრაქტების დამატებებს და მონაწილეობას იღებს ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვაში. .

## 2.5. იურისტი

იურისტისკომპეტენციაში შედის მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციის დოკუმენტაციის მომზადება და დამუშავება. ის პროაქტიულად განსაზღვრავს პრობლემებს და შეიმუშავებს პრევენციულ ზომებს პრობლემების თავიდან ასაცილებლად. იურისტი თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო უწყებებთან, მუნიციპალიტეტებთან, კონტრაქტორებთან და საზოგადოებასთან. ის მონაწილეობს კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი მასალების ხარისხის კონტროლის პროცესში, აანალიზებს რეგისტრაციის პროცესს რის საფუძველზეც ამზადებს წინადადებებს საჭირო ცვლილებების და დამატებების შესახებ, ადგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს.

## 2.6. გეოდეზისტი

გეოდეზისტიკოორდინაციას უწევს საკადასტრო აზომვით სამუშაოებს და საველე პირობებში ზედამხედველობს კონტრაქტორის საქმიანობას; ის ამოწმებს პოზიციონირების და რუკების სიზუსტეს ველზე და აწარმოებს კონტრაქტორის მიერ მომზადებული საკადასტრო აზომვითი ნახაზების ხარისხის კონტროლს GIS პროგრამული უზრუნველყოფის და ორთოფოტოების საშუალებით. გეოდეზისტი აანალიზებს აზომვით სამუშაოებს და ამზადებს რეკომენდაციებს ტექნოლოგიის და ტექნიკური ინსტრუქციების ცვლილებების შესახებ.

## 2.7. პროგრამისტი

პროგრამისტი შეისწავლის არსებულ სისტემებს, წარმოადგენს მოსაზრებებს სისტემის გაუმჯობესების და მისი ეფექტურობის ამაღლების შესახებ, ქმნის და ახორციელებს ინდივიდუალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, შეიმუშავებს პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტაციას, აღმოფხვრის კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის პრობლემებს და ამზადებს რეკომენდაციებს მისი მოდერნიზების შესახებ, აყალიბებს და აწარმოებს პროექტის მონაცემთა ბაზას.

## 2.8. რეგიონული ფასილიტატორი

უზრუნველყოფს საპილოტო რეგიონებში საზოგადოების მობილიზაციას, კომუნიკაციას, მოსახლეობის მონაწილეობას და მათთან თანამშრომლობას შეთანხმებული გეგმის მიხედვით, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას და მათთვის ინფორმაციის მიწოდებას; სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებასთან ერთად, საპილოტო არეალებში ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ღონისძიებას და მოსახლეობას აცნობს ნორმატიულ აქტებს. ის ხელს უწყობს კონტრაქტორის მიერ აზომვითი სამუშაოს შესრულებას და დოკუმენტაციის შეგროვებას, რჩევებს აძლევს ამზომველ ჯგუფებს, რეგისტრაციის პროცესში კონსულტაციებს და დახმარებას უწევს სოციალურად დაუცველ და წერა-კითხვის უცოდინარ პირებს, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით ახდენს მიწასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და, პროექტის მენეჯერის თანხმობით, იღებს სათანადო ზომებს. რეგიონული ფასილიტატორი თანამშრომლობს მოსახლეობასთან, ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელობასთან, საკრებულოებთან, სააგენტოსთან ან/და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ხელს უწყობს დავების გადაწყვეტას. პროექტის მენეჯერს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აწვდის ინფორმაციას საპილოტო პროექტის გავრცელების არეალში ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, მონაწილეობს შედეგების საჯარო გაცნობაში და იღებს შეკითხვებს, კომენტარებს და საჩივრებს, აწარმოებს ან/და კონტრაქტორის საქმიანობის მონიტორინგს და კონტროლს.

## 2.9. მუნიციპალური სამუშაო ჯგუფები

საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდი საველე სამუშაოების წარმოებისას თანამშრომლობს 5 მუნიციპალურ სამუშაო ჯგუფთან. ერთ არეალზე მოქმედებს ერთი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიქმნა საკუთრების უფლების აღიარების კომისიებთან, გამგებლის ოფისთან, მიწათმფლობელებთან და კონტრაქტორებთან

კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მიზნით. თითოეულ მუნიციპალურ სამუშაო ჯგუფში შედის:

- რეგიონული ფასილიტატორი, რომელიც საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდის თანამშრომელია და ხელს უწყობს რეგისტრაციის სამუშაოების შესრულებას საველე პირობებში და უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და მოსახლეობასთან (იხ.პარაგრაფი 2.8);
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, რომელიც შესაძლებელია იყოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი <sup>16</sup> /მერი ან მუნიციპალიტეტის <sup>17</sup> თანამდებობის პირი/მოხელე, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თანახმად აღჭურვილია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით.<sup>18</sup>

საპილოტო პროექტის განხორციელებისას მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი:<sup>19</sup>

- გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის მიზნით, როდესაც შეუძლებელია ამ ნაკვეთის ფაქტობრივი მდებარეობის ზუსტად განსაზღვრა;
- სააგენტოს წარუდგენს განცხადებას მიწის ნაკვეთზე დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, თუ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) ან/და მმართველობის ორგანოს მონაწილეობით;
- გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს სააგენტოს საკადასტრო მონაცემების ვერიფიკაციის მიზნით;<sup>20</sup>

---

<sup>16</sup>გამგებელი

<sup>17</sup>გამგეობა

<sup>18</sup>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ელი ნაწილის (ა-ვ) პუნქტების თანახმად.

<sup>19</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-16 მუხლი.

<sup>20</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესი, მე-2 დანართი, მე-5 მუხლი, მე-5 პარაგრაფი.

- ახორციელებს სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა უფლებამოსილებას.

მუნიციპალურ სამუშაო ჯგუფში შეიძლება შედიოდეს მედიატორი/მედიატორი ნოტარიუსიც, რომელსაც დანიშნავს კონტრაქტორი დავების გადასაწყვეტად ან სხვა საჭიროების შემთხვევაში.

### 3. ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტი

სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტი დადგენილი პროცედურების შესაბამისად <sup>21</sup> აწარმოებს სარეგისტრაციო დოკუმენტების ხარისხის საბოლოო შემოწმებას და კონტრაქტორების მომზადებული რუკების და იურიდიული დოკუმენტების საფუძველზე - საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციას. ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტში დეპარტამენტში სარეგისტრაციოდ წარედგინება კონტრაქტორის მიერ მომზადებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომელმაც გაიარა საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდის ვერიფიკაციისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები.

### 4. გეოდეზიის და გეოინფორმაციის დეპარტამენტი

სააგენტოს გეოდეზიის და გეოინფორმაციის დეპარტამენტი ამზადებს საპილოტო ფართობების გეოსივრცით და კარტოგრაფიულ მონაცემებს, საბოლოოდ ამოწმებს საკადასტრო აზომვითი ნახაზების<sup>22</sup> ხარისხს რეგისტრაციის წინ დადგენილი შიდა პროცედურების შესაბამისად და შეჰყავს მონაცემები საკადასტრო მონაცემთა ბაზაში. გეოდეზიის და გეოინფორმაციის დეპარტამენტი იღებს კონტრაქტორის მომზადებულ რუკებს, კოორდინატებს და ანგარიშებს პროექტის ძირითადი გუნდის მიერ მიღებული ხარისხის კონტროლის და ვერიფიკაციის პროცესის გავლის შემდეგ.

<sup>21</sup>მომზადებული კონტრაქტორის მიერ და შემოწმებული პროექტის ძირითადი გუნდის მიერ

<sup>22</sup>მომზადებული კონტრაქტორის მიერ და შემოწმებული პროექტის ძირითადი გუნდის მიერ

## 5. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ახორციელებს საკომუნიკაციო სტრატეგიის იმპლემენტაციას, რომლის მიზანია საპილოტო პროექტის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მუნიციპალიტეტების და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ინფორმირება, რეგისტრაციის პროცესის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება, შეხვედრების, საინფორმაციო კამპანიის და მედიალონისძიებების ორგანიზება.

## 6. საკუთრების უფლების აღიარების კომისია

მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისია იღებს გადაწყვეტილებებს თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. კომისია გადაწყვეტილებას იღებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (2007 წლის 20 სექტემბერი).

## 7. კონტრაქტორები

კონტრაქტორები არიან კერძო კომპანიები, რომლებიც სააგენტოსთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე საპილოტო არეალზე ასრულებენ საკადასტრო აზომვას და აგროვებენ დოკუმენტაციას საჯარო რეესტრში ქონების დასარეგისტრირებლად. კონტრაქტორების შერჩევა ხდება კონკურენტული ტენდერის საშუალებით. კონტრაქტორები ანგარიშვალდებული არიან და მუშაობენ საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელმაც უნდა დაამტკიცოს და მიიღოს მათი საქმიანობის შედეგები.

კონტრაქტორი მონაწილეობს იღებს საზოგადოების ინფორმირებულობის ამდლების კამპანიაში, ასრულებს მიწის ნაკვეთების და საკადასტრო ობიექტების აგემვას, აგროვებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციას, ამზადებს საკადასტრო აზომვით ნახაზებს, აგროვებს დოკუმენტებს, ახორციელებს ხარისხის შიდა კონტროლს, ეხმარება დაინტერესებულ პირებს მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული უთანხმოებების

მოგვარებაში, ატვირთავს საჯარო რეესტრის ელექტრონულ სისტემაში საკადასტრო აზომვით ნახაზებს, სარეგისტრაციო დოკუმენტებს, სივრცით მონაცემებს და ანგარიშებს, მონაწილეობს მონაცემთა გასაჯაროებაში და ასრულებს ტექნიკურ საველე სამუშაოებს საკადასტრო აზომვების შედეგების დასამოწმებლად.

## 8. დაინტერესებული პირები


დაინტერესებული პირები თანამშრომლობენ კონტრაქტორთან მათ ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის დროს. მონაცემების საჯაროდ გაცნობის პროცესში ისინი აკონტროლებენ თავიანთი ქონების შესახებ მონაცემებს. დაინტერესებულ პირებს კონტრაქტორთან თანამშრომლობა ევალებათ დემარკაციის და აზომვის პროცესშიც.

## პროცესის აღწერა

---

საპილოტო ფაზაში სისტემური რეგისტრაციის პროცესი მოიცავს: (სურათი 2):


- მოსამზადებელი ღონისძიებები
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებადონე
- ტექნიკური საველე სამუშაოები
- მონაცემების საჯაროდ გაცნობა
- აზომვის/აგეგმვის შედეგების დამოწმება
- რეგისტრაცია





სურათი 2. სისტემური რეგისტრაციის ძირითადი ეტაპები.

საპილოტო არეალზე სისტემური რეგისტრაციის სქემა მოცემულია სურათ N3-ზე.

საპილოტო პროექტის არელების სისტემური რეგისტრაცია







- საამზომველო კომპანიის ტექნიკური შესარჩევი დავალება, რომლის საფუძველზეც მოხდება კონტრაქტორის შერჩევა საპილოტო პროექტის არეალზე საკადასტრო აზომვითი/აგეგმვითი სამუშაოების შესასრულებლად.
- საკადასტრო აზომვის/რეგისტრაციის ხელშეკრულებების ტექნიკური სპეციფიკაციები, რომელშიც აღწერილია დავალების ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების სახეები, სტანდარტები, წარსადგენი მასალები, ხანგრძლივობა, ეტაპები და ინსტიტუციური ღონისძიებები.
- სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის სახელმძღვანელო პრინციპები (წინამდებარე დოკუმენტი), რომელშიც აღწერილია საპილოტო არეალებზე სისტემური რეგისტრაციის წარმოების და ზუსტი საკადასტრო მონაცემების მომზადების, შეგროვებისა და გასაჯაროებისათვის საჭირო კომპონენტების, სამუშაოს მიმდინარეობის, პროცედურების, მხარეთა როლების და ფუნქციების აღწერა.
- ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო, რომელშიც განსაზღვრულია სააგენტოსა და კონტრაქტორების სახელმძღვანელო პრინციპები და რომელშიც მოცემულიაშესაბამისი საკონტროლო ჩამონათვალი და ცხრილები სისტემური რეგისტრაციის მონაცემების ხარისხის შესამოწმებლად.
- სამოქმედო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია საპილოტო პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ამოცანების შესახებ.

## 10. ტექნიკური საველე სამუშაოებისთვის ხელშეკრულებების მომზადება

პროექტის ძირითადი გუნდის შესყიდვების სპეციალისტი ამზადებს შესყიდვების დოკუმენტაციის პაკეტს.

საამზომველო კომპანიები წარმოადგენენ სატენდერო წინადადებებს ტენდერის მოთხოვნების შესაბამისად.

სააგენტოს სატენდერო წინადადებების შეფასების კომისია, რომელიც ეხმარება პროექტის ძირითად გუნდს, აფასებს წარმოდგენილ სატენდერო წინადადებებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების და სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

გამარჯვებული სატენდერო წინადადების გამოვლენის შემდგომ, შესყიდვების სპეციალისტი მოამზადებს კონტრაქტს.

## 11. საპილოტო არეალისთვის მონაცემების მომზადება

პროექტის ძირითადი გუნდი საპილოტო არეალისთვის მონაცემებს ამზადებს შემდეგ ინფორმაციაზე დაყრდნობით:

- სააგენტოს სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა;
- ამონაწერები სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივიდან;
- არქივის მიერ მოწოდებული საკომლო წიგნის ჩანაწერები;
- მიწების განაწილების სია თანდართულ მიწის გამოყოფის გეგმებთან ერთად ერთად ან მათ გარეშე, დამტკიცებული მიწის რეფორმის კომისიის მიერ, სააგენტოს ან მუნიციპალიტეტის მოთხოვნით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული მიწის გადასახადის გადამხდელთა სია (საგადასახადო სია), რომელიც მოწოდებულია შემოსავლების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს ან მუნიციპალიტეტის მიერ.

სამუშაო მოიცავს მიწის გადასახადის გადამხდელთა სიის და საკომლო წიგნის ქაღალდის ვერსიების ციფრულ ფორმატში გადაყვანას, საჭირო მონაცემების მიღების მიზნით.

## 12. კონტრაქტორისთვის მიწოდებული მონაცემები

12.1. სააგენტომ საპილოტო არეალისთვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი მონაცემები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული მიწის გადასახადის გადამხდელთა სია (საგადასახადო სია) XLSX ფაილის და ქაღალდის ვერსიის ფორმით.

- მიწების განაწილების სია, თანდართულ მიწის გამოყოფის გეგმებთან ერთად ან მათ გარეშე, რომელიც გაცემულია მიწის რეფორმის კომისიის მიერ, თუ ეს შესაძლებელია.
- ინფორმაცია მესაკუთრეების შესახებ რეგისტრაციის მონაცემთა ბაზიდან ან ცნობა სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივიდან.
- პროექტის ძირითადი გუნდის მიერ მომზადებული წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები და შესაბამისი კანონმდებლობა.

#### 12.2. სააგენტო კონტრაქტორისთვის უზრუნველყოფს

- წვდომას ვებრუკის სერვისზე (WMS) შემდეგი მონაცემებისთვის:
  - რეგისტრირებული საკადასტრო ობიექტები (არსებული საკადასტრო რუკები)
  - ორთოფოტოები
  - ტოპოგრაფიული მონაცემები.
- 1998 წლიდან 2006 წლამდე პერიოდში სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების (მსოფლიო ბანკის, USAID-ის, KFW-ს, გაეროს განვითარების პროგრამის) მიერ შექმნილ მიწების ინვენტარიზაციის მონაცემებს SHP ფაილების ფორმით.
- მონაცემთა ბაზაზე წვდომას სარეგისტრაციო დოკუმენტების და ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივის ცნობების გასაცნობად.

12.3. სააგენტო კონტრაქტორს მისცემს უფლებას, პროგრამების (აპლიკაციების), დოკუმენტების, ანგარიშების და ვებბმულით რუკების ასატვირთად, ისარგებლოს ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფით.

12.4. სააგენტო კონტრაქტორს მიანიჭებს უფლებამოსილებას, რომ ორგანიზება გაუწიოს მედიაციის პროცესს.

12.5. არქივი კონტრაქტორს მისცემს საკომლო ჩანაწერების ელექტრონული ბაზით სარგებლობის შესაძლებლობას.

## 13. სასწავლო სემინარები

პროექტის ძირითადი გუნდი ჩაუტარებს სწავლებას საპილოტო პროექტში მონაწილე თანამშრომლებს, კონტრაქტორებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებს და მედიატორებს. სწავლება მიზნად ისახავს რეგისტრაციის პროცესის დაგეგმვის, მართვის და იმპლემენტაციისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებასა და ცოდნის გაღრმავებას. სწავლებაზე აქცენტი გაკეთდება სამართლებრივი საფუძვლების, დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების, მიწის აზომვების ტექნიკური სტანდარტების, მიწის რეგისტრაციის პროცესის და საზოგადოების ინფორმირებულობის ამალღების კამპანიაზე.

- პროექტის ძირითადი გუნდის წევრებს სემინარები ჩაუტარდებათ შემდეგ საკითხებში: კონტრაქტორების ზედამხედველობა და მონიტორინგი, მიღებული გამოცდილების გამოყენების ტექნოლოგიები, პროექტის მონიტორინგი და შეფასება, სამართლებრივი საფუძვლები, დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები, მიწის აზომვების ტექნიკური სტანდარტები, მიწის რეგისტრაციის პროცესი და საზოგადოების ინფორმირებულობის ამალღების კამპანია, ასევე, სააგენტოს ელექტრონული დოკუმენტაციის მართვის სისტემა<sup>23</sup>.
- ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს დეპარტამენტს სწავლება ჩაუტარდებათ სამართლებრივ საფუძვლებზე.
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს და საკუთრების უფლების აღიარების კომისიებს სემინარები ჩაუტარდებათ- სამართლებრივ საფუძვლებში, მიწის რეგისტრაციის პროცედურებსა და საპილოტო პროექტთან დაკავშირებულ კანონისმიერ ვალდებულებებზე.
- მედიატორებს სემინარები ჩაუტარდებათ მედიაციის პროცედურებსა და საკანონმდებლო საფუძვლებზე, აგრეთვე, საპილოტო პროექტთან დაკავშირებულ კანონისმიერ ვალდებულებებზე.
- კონტრაქტორებმა - მიწის რეგისტრაციის პროცედურებში, საკანონმდებლო საფუძვლებში, მიწის ნაკვეთების აზომვების ტექნიკურ სტანდარტებში, ქალთა საკუთრების უფლებებსა და საპილოტო პროექტთან დაკავშირებულ კანონისმიერ ვალდებულებებზე.

---

<sup>23</sup>NAPRWEB.

მუნიციპალიტეტებისთვის და საკუთრების უფლების აღიარების კომისიების წევრებისთვის სემინარების მომზადებაში, პროექტის ძირითად გუნდს დახმარებას გაუწევს GIZ პროექტი - „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“.

## 14. კონტრაქტორის მოსამზადებელი საქმიანობა

### 14.1. დეტალური სამუშაო გეგმა

კონტრაქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში კონტრაქტორმა საპილოტო პროექტის ძირითად გუნდს უნდა წარუდგინოს დეტალური სამუშაო გეგმა, დაგეგმილი საქმიანობის შესრულების დეტალურ გრაფიკთან ერთად.

პროექტის ძირითადმა გუნდმა უნდა გაანალიზოს ეს გეგმა და წარმოადგინოს კომენტარები და წინადადებები საბოლოო ვერსიისთვის.

კონტრაქტორმა საველე სამუშაოები უნდა დაიწყოს დეტალურ სამუშაო გეგმაზე საბოლოო თანხმობის მიღების შემდეგ.

### 14.2. კონტრაქტორის ოფისი

კონტრაქტორმა სისტემური რეგისტრაციის საპილოტო არეალში უნდა დააფუძნოს ოფისი , რომელსაც გამოიყენებს რეგისტრაციის პროცესში საჭირო ღონისძიებებისთვის.

- ოფისი განლაგებული უნდა იყოს მოსახლეობისთვის იოლად მისადგომ ადგილას და მდებარეობდეს საზოგადოებრივ უწყებებთან (როგორცაა ადმინისტრაციული შენობები, სკოლა და სხვა) ახლოს;
- ოფისი უნდა იყოს ავეჯით გაწყობილი, აღჭურვილი და მზად ვიზიტორების მისაღებად;
- ოფისის სამუშაო საათები მოსახერხებელი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისთვის;
- შესაძლებელი უნდა იყოს ოფისთან ტელეფონით ან ელფოსტით დაკავშირება.

### 14.3. სამუშაო გრაფიკი

საველე სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს გრაფიკი, საპილოტო არეალის კონკრეტულ ფართობებზე სამუშაოს ჩატარების თარიღების მითითებით. ამგვარად, დაინტერესებული პირები მზად იქნებიან მიაწოდონ კონტრაქტორს ყველა საჭირო დოკუმენტი და მონაწილეობას მიიღებენ დემარკაციის პროცესში.

## საზოგადოების ინფორმირებულობა

---

საპილოტო პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების წარმატებული კამპანიის წარმოების მიზნით, სააგენტომ და GIZ-მა, USAID-ის G4G პროექტის დამხრებით შეიმუშავეს კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც იქნება სამიზნე აუდიტორიასთან და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის საფუძველი (იხ. 1-ლი დანართი).

კომუნიკაციის სტრატეგიის ზოგადი მიზანია საპილოტო პროექტის ამოცანების მოქალაქეებისთვის, მუნიციპალიტეტებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის უკეთ განმარტება და დაინტერესებული პირების წახალისება საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო განაცხადის შესატანად.

ამ მიმართულებით ძირითადი საქმიანობა მოიცავს ადგილობრივი ოფისების ვიზუალური სიმბოლოების შემუშავებას, საინფორმაციო მასალების გავრცელებას, შეხვედრების ორგანიზებას, ინტერნეტკომუნიკაციის ორგანიზებას, პოპულარიზაციას და საინფორმაციო კამპანიის განხორციელებას, ფილმების გადაღებას და პრეზენტაციებს.

ყველა შესაბამისი მასალა ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ ენებზე, რომლებზეც საუბრობს ადგილობრივი მოსახლეობა.

მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლების კამპანიაში გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც სტიმულს მისცემს ქალებს დაარეგისტრირონ თავიანთი ქონება. ეს ღონისძიებები მოიცავს გენდერული საკითხებისადმი მიძღვნილ სპეციალურ შეხვედრებს ქალებთან მიწის რეგისტრაციის წინ და საჯარო საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას ისეთ დროს და ადგილას, რომელიც მოსახერხებელი იქნება პირებისთვის, რომლებსაც სხვადასხვა ოჯახური ვალდებულებები გააჩნიათ.

## 15. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის მოსამზადებელი სამუშაოები

კომუნიკაციის სტრატეგიის საფუძველზე, პროექტის ძირითადმა გუნდმა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უნდა მოამზადონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელსაც შემდეგი კონკრეტული მიზნები ექნება:

- რეგისტრაციის საჭიროების და სარგებლის შესახებ ინფორმირება;
- ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის მოსახლეობის, ფუნქციების და მოვალეობების შესახებ ინფორმირება;
- კონტრაქტორის საქმიანობის შესახებ ინფორმირება;
- განსაკუთრებული ყურადღების დათმობა ქალებისთვის, მოსახლეობის დაუცველი ფენებისთვის, ეთნიკური უმცირესობებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

საპილოტო ფართობის მოსახლეობასთან და სხვა მონაწილე მხარეებთან კომუნიკაცია, ასევე ინფორმაციის და ვიზუალური მასალების მომზადება და ბეჭდვა უნდა დაიწყოს საამზომველო კომპანიის (იხ. მე-10 თავი) შესარჩევი ტენდერის გამოცხადების შემდეგ.

საველე სამუშაოების დაწყებამდე, სულ მცირე, 15 დღით ადრე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უნდა:

- განათავსოს საინფორმაციო სტენდები და პოსტერები/ბანერები საპილოტო არეალზე;
- პროექტის ძირითადი გუნდს და კონტრაქტორის მიაწოდოს სარეკლამო ფურცლები და ბროშურები მოსახლეობისთვის დასარიგებლად;
- მოამზადოს და აამოქმედოს ვებგვერდი და ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებები;
- შექმნას Facebook-ის გვერდი, განათავსოს ინფორმაცია Wikipedia-ში და შექმნას არხი YouTube-ზე.

## 16. დანტერესებული პირების რეგისტრაციის პროცესში ჩართვისთვის მისაღები ზომები

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში სააგენტომ თავის ვებგვერდზე, მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე<sup>24</sup> და საპილოტო არეალის თვალსაჩინო ადგილებში<sup>25</sup>

- უნდა განათავსოს განცხადებები ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაინტერესებული პირების, მიწის ნაკვეთების მდებარეობის, რეგისტრაციის დაწყება-დასრულების თარიღების შესახებ;
- საველე სამუშაოების დაწყებამდე, სულ მცირე, 15 დღით ადრე უნდა გამოაქვეყნოს შეტყობინება მომავალი საკადასტრო აზომვის შესახებ.

## 17. შეხვედრა საპილოტო არეალის მოსახლეობასთან

საპილოტო ფართობის მოსახლეობასთან საველე სამუშაოების დაწყებამდე შეხვედრა ინფორმირებულობის დონის ამაღლების კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

შეხვედრას ორგანიზებას უწევს საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდი. მოწვევა შეხვედრამდე, სულ მცირე, 7 დღით ადრე უნდა გამოაქვეყნდეს და მასში მითითებული უნდა იყოს შეხვედრის თარიღი, ადგილი, დრო და დღის წესრიგი. ეს ინფორმაცია უნდა განთავსდეს საზოგადოებრივ ადგილებში, დაიბეჭდოს ბუკლეტებში, რომლებიც დაურიგდება მოსახლეობას, განთავსდეს ინტერნეტში, დაიბეჭდოს ადგილობრივ გაზეთებში და გადაცემულ იქნეს რადიოთი და ტელევიზიით.

შეხვედრას გაუძღვება საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდის მენეჯერი და მას დაესწრებიან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და კონტრაქტორი.

შეხვედრაზე მოსახლეობას წარედგინება შემდეგი ინფორმაცია:

- პროექტის მნიშვნელობა;

<sup>24</sup>საჭიროებისამებრ

<sup>25</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესის მე-20 მუხლი

- რეგისტრაციის სარგებელი, კერძოდ საკუთრების დაკანონება, უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების შესაძლებლობა, ინფორმაცია გადასახადების შესახებ რომლებსაც მოსახლეობა არ გადაიხდის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში<sup>26</sup>;
- სააგენტოს, საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდის და კონტრაქტორების ვალდებულებები;
- საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდის და კონტრაქტორის ოფისის მდებარეობა;
- კონტრაქტორის დეტალური სამუშაო გეგმა;
- რეგისტრაციის პროცესში მოსახლეობის მოვალეობები, მათ ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა, პრეტენზიების წარდგენა, საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდთან თანამშრომლობა, კონტრაქტორთან თანამშრომლობა დემარკაციის და აზომვების პროცესში, რეგისტრაციასთან დაკავშირებული ზეპირი ინფორმაციის, დოკუმენტების ან/და მტკიცებულებების წარდგენა, საკადასტრო ამზომველების მითითებების შესაბამისად;
- ის პირები/ორგანოები, რომლებსაც მოსახლეობას შეუძლია წარუდგინოს კითხვები, კომენტარები და საჩივრები, მათი წარდგენის ფორმა და საშუალებები, ინფორმაციის და საჩივრების წარდგენის შემდეგ მოსალოდნელი საპასუხო ღონისძიებები.

იმ საპილოტოარეალში, სადაც უმცირესობები ცხოვრობენ, ამ ჯგუფების თითო წარმომადგენელი მაინც უნდა იქნეს შეხვედრაზე მიწვეული.

## 18. რეგიონული ფასილიტატორის მონაწილეობა

საინფორმაციო კამპანიის მხარდასაჭერად რეგიონული ფასილიტატორი (იხ. პარაგრაფი 2.9) მთელი პროექტის პერიოდში ასრულებს საინფორმაციო და საკონსულტაციო საქმიანობას. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად, ის ორგანიზებას უწევს შესაბამის ღონისძიებებს საპილოტო არეალში და მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შესახებ.

<sup>26</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესის მე-14 მუხლი

## 19. კონტრაქტორის მონაწილეობა

საინფორმაციო კამპანიის მხარდასაჭერად კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს შემდეგი საქმიანობა:

- მონაწილეობა მიიღოს საპილოტო არეალის მოსახლეობასთან საველე სამუშაოების დაწყების წინ გასამართ შეხვედრაში (იხ. მე-17 თავი).
- გაავრცელოს რეგისტრაციის პროცესის, გრაფიკის, საჯარო გაცნობის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის შემცველი სარეკლამო ფურცლები და პოსტერები.

## ტექნიკური საველე სამუშაოები

---

### 20. მეთოდოლოგია და სამუშაოების აღწერა

ტექნიკური საველე სამუშაოები მოიცავს კერძო პირების, საქართველოს მთავრობის და ადგილობრივი მუნიპალიტეტის მიწის ნაკვეთების, მათზე განლაგებული შენობა-ნაგებობების აზომვას და დოკუმენტაციის შეგროვებას საჯარო რეესტრში ქონებრივი უფლებების რეგისტრაციისთვის, თუ ეს ნაკვეთები

- არ არის რეგისტრირებული;
- რეგისტრირებულია დაუზუსტებელი მონაცემებით;
- არსებობს სხვაობა ფაქტობრივ საკუთრებასა და უფლებისდამდეგენ დოკუმენტებს შორის;
- ნაკვეთების მდებარეობა არასწორად არის განსაზღვრული;
- აქვთ გეომეტრიული პრობლემები, მაგალითად, საზღვრების ურთიერთგადაფარვა და სხვა.

პრიორიტეტი ენიჭება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას.

კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს მონაცემები, რომლებიც მისცემს სააგენტოს საშუალებას:

- დაადგინოს საკადასტრო მონაცემების შესაბამისობა მიწის ნაკვეთების ფაქტობრივ მდებარეობასთან;
- უზრუნველყოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- უზრუნველყოს საჯარო რეესტრში დაუზუსტებული საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების შესაბამისობა მათ ფაქტობრივ მდებარეობასთან და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

## 21. მონაცემების ანალიზი და საველე სამუშაოების მომზადება

კონტრაქტორმა საკადასტრო აზომვა უნდა ჩაატაროს უფლებისდამდგენი დოკუმენტების (თუ ხელმისაწვდომია) ანალიზის საფუძველზე, კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით.

მომზადება იწყება რეგისტრირებული საკადასტრო მონაცემების შეჯერებით ორთოფოტოებთან. ამ მიზნისთვის გამოიყენება უპილოტო საფრენი აპარატით (დრონით) 2016 წელს გადაღებული 10სმ GSD რეზოლუციის ორთოფოტოები.<sup>27</sup>

გამოსახულების ვიზუალური შემოწმებისას გამოვლინდება ნაკვეთების და შენობების არასწორად განსაზღვრული მდებარეობა რაც დაექვემდებარება განმეორებით აზომვას. ამ მეთოდით შესაძლებელია გამოვლინდეს ფაქტობრივ საკუთრებასა და საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტებს შორის არსებული სერიოზული შეუსაბამობები.

დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული ობიექტების იდენტიფიცირება ხდება სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზის და საკადასტრო მონაცემთა ბაზის შეჯერების საშუალებით.

გეომეტრიული პრობლემების მქონე ნაკვეთები გამოვლინდება არსებულ უბნებში ახალი ნაკვეთების ჩასმის შემდეგ.

<sup>27</sup>ამჟამად სააგენტო კონტრაქტორს აწვდის ორთოფოტოების ორ წყებას: 2000 წლის 20სმ GSD-ის ორთოფოტოებს და 2016 წლის დრონით გადაღებულ 10სმ GSD-ის ორთოფოტოებს. ჰორიზონტალური პოზიციონირების სიზუსტე 95%-იანი ცდომილება პირველი ტიპის ორთოფოტოებისთვის შეადგენს 70სმ-ს და მეორე ტიპისთვის - 35სმ-ს.

ხშირ შემთხვევაში ანალიზი და საველე სამუშაოები დიდ დროს მოითხოვს, შესაბამისად, უმჯობესია ველზე გასვლა და ყველაფრის აზომვა.

## 22. მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის დადგენის პროცედურები<sup>28</sup>

თუ საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდის მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტებით (იხ. მე-11 თავი) მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდებარეობის სარწმუნოდ დადგენა შეუძლებელია, მდებარეობა უნდა მიუთითოს მიწის მესაკუთრემ, საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირმა ან/და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა.

- 1) <sup>29</sup>საჭიროების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის ფაქტობრივ მდებარეობას (მიწის ნაკვეთის საზღვარი და კონფიგურაცია მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან მიმართებით) ადასტურებენ მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირები;
- 2) მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა, რომელიც განსაზღვრულია უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით ან/და რომელიც არ არის ასახული საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე, დგინდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
- 3) მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა მიერ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდებარეობის დადასტურებაზე უარის თქმის ან მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირის ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის ფაქტობრივ მდებარეობას ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და შეჯერების საფუძველზე, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა უნდა მოამზადოს და ხელი მოაწეროს ანგარიშს, სადაც აღინიშნება ამგვარი მიწის ნაკვეთი და

<sup>28</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესის მე-15 მუხლი

<sup>29</sup>მარჯვენა ფრჩხილით აღნიშვნა გამოიყენება მითითებულ დოკუმენტში პარაგრაფების ორიგინალური წყობის შესანარჩუნებლად

მისი მფლობელის დადგენის მიზნით მიღებული ზომები. ეს ანგარიში შეტანილ უნდა იქნეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაილსა და არქივში;

- 4) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია როგორც ცალკეული მიწის ნაკვეთების, ისე სარეგისტრაციო ბლოკში შემავალი მიწის ნაკვეთების ან მათი ნაწილის ფაქტობრივი მდებარეობის ერთობლივად დადგენა.

## 23. აზომვითი სამუშაოების პროცედურები და სტანდარტები

საკადასტრო აზომვა უნდა ეფუძნებოდეს მიწის ნაკვეთისაზომებს და ორთოფოტოებს. ორთოფოტოები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ორიენტაციისთვის, საველე სამუშაოების მომზადებისთვის, მიახლოებითი პოზიციური კონტროლისთვის, საველე ნახაზების მომზადებისთვის და მონაცემების გასაჯაროებისთვის.

სამუშაოები უნდა შესრულდეს „მიწის რეგისტრაციის საპილოტო პროექტის ფარგლებში საკადასტრო საველე/აზომვითი სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაციების“<sup>30</sup> შესაბამისად (მე-2 დანართი).

ეს სამუშაოები მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

- 23.1. სარეგისტრაციო ბლოკების განსაზღვრა, თუ ისინი არ არის დადგენილი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
- 23.2. ლოკალური საკონტროლო წერტილების დადგენა ტაქეომეტრის ან სხვა ოპტიკური ინსტრუმენტების საშუალებით, მათ შორის :
- პუნქტების დადგენა;
  - კოორდინატების დადგენა გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემის (GNSS) ტექნოლოგიების ან ადგილობრივი სადგურების გამოყენებით;

<sup>30</sup>შემდგომში „საპილოტო პროექტის ტექნიკური სპეციფიკაციები“

23.3. საზღვრების (რომლებიც არ არის გამოყოფილი მყარი მიჯნით: ღობეებით, ქვებით და ა.შ.) დემარკაცია. მიწის ნაკვეთის შესახებ საკადასტრო მონაცემების შეგროვება ხდება ფაქტობრივი საკუთრების საზღვრის მიხედვით, რომელსაც ადასტურებენ მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/მოსარგებლები. სადავო საზღვრების შემთხვევაში უნდა მომზადდეს ოქმი და აიზომოს ყველა მოდავე მხარის მიერ მითითებული საზღვრები;

23.4. ინსტრუმენტული აზომვა  $\pm 15$  სმ ჰორიზონტალური პოზიციონირების (მიბმის) სიზუსტით:

- მიწის ნაკვეთის საზღვრისთვის;
- შენობების განაშენიანების ფართობისთვის;
- ცალკე უფლების ობიექტებისთვის;
- ობიექტებისთვის, რომლებიც საჭიროა სერვიტუტების და სხვა სამართლებრივი შეზღუდვების აღსანიშნად;
- სამართლებრივი შეზღუდვის ან/დაან/და დატვირთვის საზღვრისთვის;
- ხაზობრივი ნაგებობებისთვის, როგორცაა საკომუნიკაციო ნაგებობა, საავტომობილო გზა, რკინიგზა, ყველა სახის მილსადენი, გვირაბი, საჰაერო-საბაგრო გზა, ელექტროგადამცემი ხაზი, კავშირგაბმულობის ხაზი, ფუნქციური, დამბა, არხი, რომლებზეც არსებობს საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი გრძივ მეტრზე და გაიცემა მშენებლობის ნებართვა;
- წერტილოვანი ობიექტებისთვის;
- ნაკვეთის (სარეგისტრაციო ბლოკის) მეზობლად მდებარე ტოპოგრაფიული ობიექტებისთვის (გზა, ბუჩქნარი, ტყე, წყლით დაფარული ტერიტორიები);

23.5. აზომვის მონაცემთა დამუშავება და კოორდინატების გაანგარიშება WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში;

23.6. კოორდინატების (დაკავშირებული კოდების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაყვანა გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაში (GIS) და პოლიგონური ფენების და ატრიბუტული ცხრილების აგება;

- 23.7. მიღებული სივრცითი მონაცემების ტოპოლოგიური შემოწმება;
- 23.8. საკადასტრო ნახაზების ნაბეჭდი და ელექტრონული ასლების მომზადება 23.4 პარაგრაფში ჩამოთვლილი პარამეტრების და ბლოკის საზღვრის ჩვენებით;
- 23.9. სივრცითი მონაცემების, რუკების და ანგარიშების ატვირთვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში და დოკუმენტების ნაბეჭდი ასლების ყოველკვირეულად მიწოდება საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდის რეგიონული ფასილიტატორებისთვის (იხ. პარაგრაფი 2.9).

## 24. საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემების და დოკუმენტაციის შეგროვება

საველე სამუშაოების განმავლობაში კონტრაქტორი ვალდებულია:

- 24.1. შეაგროვოს მონაცემები სააგენტოს მიერ მიწოდებული საველე ფორმებისთვის;
- 24.2. შეაგროვოს განაცხადები საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის;
- 24.3. გადაიღოს პირადობის მოწმობების ასლები (თუ ხელმისაწვდომია) განაცხადებაზე დართვის მიზნით;
- 24.4. შეაგროვოს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი ორიგინალი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება;
- 24.5. მოამზადოს შეხვედრის ოქმი სადავო საზღვრების დადგენის მიზნით ;
- 24.6. აღწეროს ყველა მიღებული ან მომზადებული დოკუმენტი.

კონტრაქტორი უნდა ეცადოს, რომ საველე ფორმებისთვის მონაცემების შეგროვებას დაესწრონ არა მარტო მამაკაცები, არამედ მათი მეუღლეებიც.

არაქართულენოვანმა მცხოვრებლებმა ქართულად მოსაუბრე პირს უნდა მიანიჭონ მინდობილობა, რომ მათი სახელით შეავსოს საველე ფორმები.

ოფისის სამუშაო მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

24.7. იურიდიული დოკუმენტაციის შექცერება;

24.8. თითოეული შემთხვევისთვის სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრა და შემდეგი ასპექტების შემოწმება:

- არის თუ არა დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ძალაში მყოფი და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დაცული მონაცემების შესაბამისი;
- არის თუ არა შეგროვებული განაცხადები და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები სრული და სამართლებრივად გამართული; საჭიროებისამებრ, მომსახურების პროვაიდერმა უნდა ურჩიოს დაინტერესებულ პირებს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, მაგალითად, თუ საკომლო ჩანაწერები ან/და მიწის გადასახადის გადამხდელთა სიები შეიცავს მონაცემებს დაინტერესებულ პირის შესახებ;
- შეიცავს თუ არა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა მონაცემებს ქონების სხვა პირზე რეგისტრაციის შესახებ;
- შეიცავს თუ არა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მონაცემთა ბაზა მონაცემებს ქონების სხვა პირისთვის მიკუთვნების შესახებ;

24.9. ინფორმაციის მოძიებას გირავნობის, იპოთეკის, ყადაღის, საგადასახადო გირავნობის, მოვალეთა რეესტრში განთავსების შესახებ;

24.10. განაცხადების და დოკუმენტების ატვირთვას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინტერნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით და ნაბეჭდი ასლების და ორიგინალი დოკუმენტების ყოველკვირეულად მიწოდებას საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდის რეგიონული ფასილიტატორებისთვის (იხ. პარაგრაფი 2.9). თუ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია ადმინისტრაციული ორგანოს/ოფიციალური პირის ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) ან/და სახელმწიფო ორგანოს მიერ, განაცხადი წარდგენილ უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის სახელით;

24.11. განაცხადების მომზადებას და ატვირთვას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ინტერნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით საკუთრების უფლების აღიარების ადგილობრივი კომისიისთვის წარსადგენად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გასაჯაროების შემდეგ.

## 25. დაინტერესებული პირების იურიდიული დახმარება

საველე სამუშაოების დროს და მთელი პროცესის განმავლობაში რეგიონული ფასილიტატორი, პროექტის ძირითად გუნდთან ერთად, იურიდიულ საკითხებში კონსულტაციას გაუწევს დაინტერესებულ პირებს, განუმარტავს მათ პროცესის არსს, აუხსნის, რა დოკუმენტაციაა საჭირო და როგორ შეიძლება მათი მოპოვება, ასევე გაუწევს იურიდიულ დახმარებას ისეთ პროცედურებში, როგორცაა მედიაცია, აზომვის შედეგების გადამოწმება და სხვადასხვა იურიდიული პროცედურები.

## 26. კონტრაქტორის მიერ წარსადგენი მასალები

კონტრაქტორმა პროექტის ძირითად გუნდს მონაცემები უნდა წარუდგინოს ოთხ ეტაპად: საველე სამუშაოების დროს, გასაჯაროების წინ, შედეგების გადამოწმებისას და საბოლოო წარდგენისას. კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს უფლება, ისარგებლოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინტერნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფით აპლიკაციების, დოკუმენტების და ანგარიშების ასატვირთად და ვებბმულით რუკების ასატვირთად.

### 26.1. საველე სამუშაოების დროს წარმოდგენილი მონაცემები

საველე სამუშაოების დაწყების შემდეგ კონტრაქტორმა ყოველ კვირას უნდა წარმოადგინოს მონაცემები და დოკუმენტაცია. თითოეულ ჯერზე წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:

26.1.1. ლოკალური საკონტროლო წერტილების დადგენის ანგარიშს (ამგვარი წერტილები შეიძლება დადგინდეს ტაქეომეტრის ან სხვა ოპტიკური ინსტრუმენტების საშუალებით, იხ. 23.2), მათ შორის:

- სამუშაოების მოკლე აღწერა PDF ფაილის ფორმატში;
- ფართობის აღწერა, ხელმოწერილი კონტრაქტორის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, დასკანირებული ნაბეჭდი ასლის და PDF ფაილის ფორმატში;
- საწყისიაზომვა ASCII ფორმატში ტაქეომეტრისთვის ან დაუმუშავებელ ფორმატში გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემისთვის (GNSS);
- მონაცემთა დამუშავების ჩამონათვალი დამუშავებისშემდგომი მონაცემებისთვის.

26.1.2. ინსტრუმენტული კვლევის ანგარიში, მათ შორის:

- სამუშაოთა მოკლე აღწერა PDF ფორმატში;
- აზომილი წერტილების კოორდინატებ, ხელმოწერილი კონტრაქტორის წარმომადგენლის მიერ, წარმოდგენილი ნაბეჭდი ასლისა და სკანირებული ვერსიის სახით PDF ფორმატში;
- საწყისიაზომვა ASCII ფორმატში ტაქეომეტრისთვის ან დაუმუშავებელ ფორმატში გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემისთვის (GNSS);
- მონაცემთა დამუშავების ჩამონათვალი დამუშავებისშემდგომი მონაცემებისთვის;
- საველე ნახაზების სკანირებულ ვერსია PDF ფორმატში.

26.1.3. ყველა აზომილი ლოკალური საკონტროლო და საზღვრის წერტილი XLSX ფორმატში.

26.1.4. შეგროვებული, მომზადებული და შედგენილი დოკუმენტაცია თითოეული მიწის ნაკვეთისთვის/ნაგებობისთვის, შემდეგი დოკუმენტების ჩათვლით:

- განაცხადი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, ხელმოწერილი დაინტერესებული პირის მიერ და სკანირებული PDF ფორმატში;
- საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითნახაზი, რომელიც შედგება გრაფიკული ნაწილისგან და საველე ფორმისგან, ხელმოწერილი დაინტერესებული პირის და ამზომველის მიერ, ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული კონტრაქტორის მიერ;
- მესაკუთრის მიერ საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების ასლები PDF ფორმატში;
- თანმხლები დოკუმენტაცია (მისი არსებობის შემთხვევაში), როგორცაა სადავო საზღვრების აღმოჩენის ოქმი, მედიაციის ხელშეკრულება, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, დასკანირებული PDF ფორმატში;
- განაცხადი მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისადმი გასაჯაროების შემდეგ, თუ მიწის ნაკვეთი თვითნებურად არის დაკავებული;
- მიწის ნაკვეთის საზღვრის და მასზე მდებარე ნაგებობების ფოტოსურათები JPG ფორმატში;
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (თუ ხელმისაწვდომია), სკანირებული PDF ფორმატში.

26.1.5. საპილოტო არეალის განცხადების წარდგენის მომენტისთვის დღისთვის განახლებული აზომვითნახაზი SHP ფაილის ფორმატში წინასწარ განსაზღვრული ატრიბუტებით.

## 26.2. საჯაროდ გაცნობამდე წარმოდგენილი მონაცემები

საჯაროდ გაცნობამდე წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს შემდეგს:

26.2.1. საკადასტრო აგეგმვის საფუძველზე მომზადებულ საკადასტრო რუკებს, რომლებზედაც დატანილია მონაცემები მიწათმფლობელის/საკუთრების რეგისტრაციის უფლების მქონე პირის და მიწათმოსარგებლის შესახებ, მათ შორის:

- საპილოტო პროექტის ფართობის სათანადო მასშტაბის რუკის ნაბეჭდასლს კედელზე ჩამოსაკიდებლად, სარეგისტრაციო

ბლოკების დადგენის მიზნით. ის უნდა მოიცავდეს ორთოგოტოებს რეგისტრირებული ბლოკების საზღვრების დატანით;

- თითოეული სარეგისტრაციო ბლოკისთვის 1:1000–1:2000მასშტაბის აზომვითი ნახაზის ნაბეჭდასლს მაგიდაზე გამოყენებისთვის. ის უნდა მოიცავდეს ორთოგოტოებს 23.4 პარაგრაფში ჩამოთვლილი ობიექტების დატანით. ძველი საზღვრები შავი ფერით იქნება ნაჩვენები, ხოლო ახალი - ყვითლად;

26.2.2. თითოეულ სარეგისტრაციო ბლოკში მიწათმფლობელთა სიას ქალაქის ვერსიის და XLSX ფაილის ფორმატში;

26.2.3. თითოეული სარეგისტრაციო ბლოკის საკადასტრო აგეგმვის/აზომვის დაწყება-დასრულების თარიღებს PDF ფორმატში;

26.2.4. გასაჯაროებისთვის მომზადებულმონაცემებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა(www. npr.gov.ge) და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) გამოსაქვეყნებლად.

## 26.3. აზომვის შედეგების გადამოწმებისას წარმოდგენილი მონაცემები

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს პროექტის ძირითადი გუნდის მიერ აზომვის შედეგების დასამოწმებლად მოთხოვნილი მთელი მონაცემები.

## 26.4. მონაცემების საბოლოო წარმოდგენა

საბოლოო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს აგეგმვის შედეგების გადამოწმების დასრულებიდან (26.3 პარაგრაფი) არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში და უნდა მოიცავდეს შემდეგს:

26.4.1. 26.1 და **Error! Reference source not found.** პუნქტებში ჩამოთვლილი მონაცემების ელექტრონულ ვერსიებს, შედეგების გადამოწმებისას (პუნქტი 26.3) განსაზღვრული დამატებების და შესწორებების ჩათვლით;

26.4.2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის საბოლოო ანგარიშის ნაბეჭდი ასლის და PDF ფორმატის ფაილის წარმოდგენას. ეს ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- რეგისტრაციის მთლიანი პროცესის აღწერას;
- კონტრაქტორის მიერ მონაცემების ხარისხის კონტროლის დეტალურ ანგარიშს;
- რეგისტრაციის შედეგების სტატისტიკურ მონაცემებს;
- სისტემური რეგისტრაციის პროცესში შეცვლილი მონაცემების რეზიუმეს, რომელიც, სულ მცირე, უნდა შეიცავდესმიწის ნაკვეთის ნომერს, მფლობელის/მოსარგებლის სახელს, შესრულებულ სამუშაოს, მიღებული დოკუმენტების ტიპს და ნომერს;
- ანალიზის ნაწილს, რომელშიც აღწერილი იქნება, რა იქნა მიღწეული, რა არ იქნა მიღწეული, რა არის ამის მიზეზები და რა რეკომენდაციები იქნა შემუშავებული.

## 26.5. ელექტრონული ფაილების დასახელებები

მომზადებული და შეგროვებული დოკუმენტაცია უნდა განთავსდეს ფაილებში, შემდეგი პირობითი დასახელებებით:

ცხრილი 3. ფაილების პირობითი დასახელებები

დოკუმენტი	ტიპი	ფაილის სახელი	საქალაქი (ფოლდერი)
		მანგლისი	84.18
ლოკალური საკონტროლო წერტილების დადგენის ანგარიში (26.1.1)	PDF	rp.84.18.005_151116.pdf	ანგარიშები
ინსტრუმენტული კვლევის ანგარიში (Error! Reference source not found.)	PDF	rs.84.18.005_151116.pdf	ანგარიშები
აზომვის შედეგების დამოწმების ანგარიში (Error! Reference source not found.-ე თავი)	PDF	rv.84.18.005_151116.pdf	გადამოწმება
ყველა აზომილი ლოკალური საკონტროლო და სასაზღვრო წერტილების ჩამონათვალი (Error! Reference source not found.)	XLSX	lp.84.18.005_151116.xlsx	ანგარიშები
რეგისტრაციის დოკუმენტები, მათ	PDF	dr.84.18.NNNNNNN.pdf	დოკუმენტები

შორის: განაცხადი (27) თითოეული ნაკვეთის აზომვითი ნახაზი ( <b>Error! Reference source not found.</b> ) შეგროვებული დოკუმენტები (26.1.3) და სხვა			
საპილოტო პროექტის ფართობის რუკა ( <b>Error! Reference source not found.</b> )	PDF	mp.84.18_151116.shp	გეგმები
სარეგისტრაციო ბლოკის აზომვითი ნახაზი (0)	PDF	sp.84.18.005.pdf	გეგმები
საპილოტო ფართობის აზომვითი ნახაზი (26.1.5)	SHP	sp.84.18_151116.shp sp.84.18_151116.shx sp.84.18_151116.dbf sp.84.18_151116.prj	გეგმები
მიწათმფლობელთა ჩამონათვალი ( <b>Error! Reference source not found.</b> )	XLSX	lo.84.18.005.xlsx	დოკუმენტები
საკადასტრო აზომვითი სამუშაოების დაწყების და დასრულების თარიღები ( <b>Error! Reference source not found.</b> )	PDF	dc.84.18.005.xls	სხვა
რეესტრი	DOCX	rb.84.18.005.docx	დოკუმენტები
<p>სადაც:</p> <p>dc, dr, lo, lp, mp, rp, rs, rv, sp, rb      აღნიშნავს დოკუმენტის ტიპს</p> <p>84      ზონის ნომერს</p> <p>18      სექტორის ნომერს</p> <p>005      სარეგისტრაციო ბლოკის ნომერს</p> <p>NNNNNNN      განაცხადის ნომერს</p> <p>151116      დოკუმენტის თარიღს DDMMYY ფორმატით (DD-დღე, MM-თვე, YY-წელი)</p>			

## დოკუმენტაციის განხილვა

## 27. პროცედურები და ანალიზი პროექტის ძირითადი გუნდის მიერ

ხარისხის კონტროლის გავლის შემდეგ პროექტის ძირითადი გუნდი განიხილავს კონტრაქტორის მიერ ატვირთულ სარეგისტრაციო დოკუმენტებს, შემდეგი ასპექტების შესამოწმებლად:

- არის თუ არა განაცხადი და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები სრული და იურიდიულად გამართული;
- არის თუ არა დაინტერესებული პირის შესახებ მონაცემები საკომლო წიგნიდან ამონაწერში ან/და დაინტერესებული პირი შეყვანილია თუ არა მიწის გადასახადის გადამხდელთა სიაში;
- შეიცავს თუ არა სააგენტოს სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზამონაცემებს ქონების სხვა პირზე რეგისტრაციის შესახებ;
- შეიცავს თუ არა სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მონაცემთა ბაზა მონაცემებს, რომ ქონება სხვა პირზე იქნა გაცემული;
- დადასტურებულია თუ არა დაინტერესებული პირის იდენტურობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

პროექტის ძირითადი გუნდმა ასევე უნდა

- დაადასტუროს, რომ ყველა შემთხვევაში იურიდიული ქმედებები სათანადოდ დასაბუთებულია და დოკუმენტირებულია კონტრაქტორის მიერ;
- გასცეს ინსტრუქციები დამატებითი დოკუმენტაციის შესახებ.

განხილვის საფუძველზე, პროექტის ძირითადი გუნდი გასცემს რეკომენდაციას დამტკიცების ან უარყოფის შესახებ. უარყოფის შემთხვევაში დოკუმენტაცია დაბრუნებული იქნება შესასწორებლად და პროექტის ძირითადი გუნდი დაუწესებს კონტრაქტორს საბოლოო ვადას პრობლემის გასასწორებლად.

## 28. საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნები

### 28.1. მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია

მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება რეგისტრირდება დაინტერესებული პირისგანცხადების, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის საფუძველზე.

#### 28.1.1. სარეგისტრაციო დოკუმენტების ლეგალიზების საფუძვლები

სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-17 მუხლის მე-2 პარაგრაფის<sup>31</sup> შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარეგისტრაციო დოკუმენტების ლეგალიზების საფუძვლებია:

- ა) <sup>32</sup>მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, თუ მასში მითითებულია აქტის გაცემის წელი და მიწის ნაკვეთის ფართობი და მას აქვს მიწის რეფორმის კომისიის არანაკლებ 2 წევრის ხელმოწერა და ბეჭედი;
- ბ) მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც არ შეესაბამება „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილებით დამტკიცებულ ფორმას, მაგრამ აკმაყოფილებს ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;
- გ) მეზღვების ამხანაგობის მიერ გაცემული მეზღვის წიგნაკი, რომელშიც მითითებულია წიგნაკის გაცემის წელი, მეზღვების დასახელება და მიწის ნაკვეთის ფართობი და რომელსაც აქვს მეზღვების ამხანაგობის ბეჭედი;
- დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მშრომელთა საერთო კრებისა და კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც დადასტურებულია ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი ორგანოს მიერ;
- ე) „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992

<sup>31</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონი.

<sup>32</sup>ეს ნუმერაცია გამოყენებულია სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის პარაგრაფების ორიგინალური თანამიმდევრობის შენარჩუნების მიზნით.

წლის 18 იანვრის №48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე – თუ არ დგინდება სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) მიწების განაწილების სიის დამტკიცების ფაქტი.

ა) - ე) პუნქტებში მითითებული დოკუმენტები გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს/ოფიციალური პირის ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) ან/და სახელმწიფო ორგანოს მიერ. შესაბამისად, განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მიერ<sup>33</sup>, რაც არგამორიცხავს დაინტერესებული პირის უფლებას, თავად მოითხოვოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

### 28.1.2. საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი

28.1.3 პარაგრაფის დამატებითი პირობებით რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს საკუთრების (სარგებლობის) უფლების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები<sup>34</sup>:

- ა) 1994 წლამდე უძრავი ნივთის მფლობელად (მოსარგებლედ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხვის დამადასტურებელი ცნობა-დახასიათება;
- ბ) საკომლო წიგნიდან ამონაწერი;
- გ) მეზალის წიგნაკი;
- დ) „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე;
- ე) ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული მიწის გადასახადის გადამხდელთა სია (საგადასახადო სია);
- ვ) „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე დადგენილი წესით სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა;

<sup>33</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესის მე-3 მუხლის მე-3 პარაგრაფი

<sup>34</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-3 მუხლის პარაგრაფი 1(ბ)

ზ) სასამართლო აქტი.

ა) - ზ) პუნქტებში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე, საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ განაცხადს წარმოადგენს დაინტერესებული პირი.

### **28.1.3. მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის დამატებითი პირობები**

1. კომლის წევრის (წევრების) მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება რეგისტრირდება საკომლო წიგნიდან ამონაწერის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს კომლის წევრთა და კომლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ბოლო მონაცემებით, მაგრამ არაუგვიანეს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი - მე-6 და მე-8 მუხლების ამოქმედების დროისათვის არსებული პერიოდისა (2007 წლის 20 სექტემბერი).
2. უძრავ ნივთზე კომლის წევრთა საერთო საკუთრების უფლება რეგისტრირდება ისე, რომ რეგისტრირებულ მონაცემებში თანამესაკუთრედ მიეთითება კომლის ყველა წევრი და აღინიშნება მათი საერთო საკუთრების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს არ წარედგინება კომლის ყველა წევრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დარეგისტრირდება კომლის მხოლოდ იმ წევრების საკუთრების უფლება, რომელთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლ(ებ)ი იქნება წარმოდგენილი, ხოლო კომლის დანარჩენი წევრების ნაწილში გაკეთდება მითითება თანამესაკუთრის არსებობის თაობაზე.
3. საკომლო წიგნის ჩანაწერების საფუძველზე, მიწის ნაკვეთზე რეგისტრირდება კომლის მხოლოდ იმ წევრების საკუთრების უფლება, რომელთა კომლის წევრობა უტყუარად დასტურდება. ის პირები, რომელთა შესახებ საკომლო წიგნის ჩანაწერებში მითითებულია კომლიდან გასვლის შესახებ შემდეგი ხასიათის შენიშვნები: „გათხოვდა“ (თუკი მითითებულია საკომლო წიგნის იმ გრაფაში, რომელშიც აღინიშნება კომლიდან მუდმივად წასვლის მიზეზი), „გადახაზულია“, „გავიდა კომლიდან“, „გამოეყო ცალკე კომლად“, „გადავიდა საცხოვრებლად სხვაგან“ და ა.შ., არ რეგისტრირდებიან უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.
4. საკომლო წიგნის ჩანაწერების საფუძველზე საკუთრების უფლების პირველად რეგისტრაციასა ან „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულების (შემდეგში – ბრძანებულება) საფუძველზე რეგისტრირებული მონაცემების

ცვლილებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საკომლო ჩანაწერებით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირი. თუ საკომლო ჩანაწერში მითითებული კომლის ყველა წევრი გარდაცვლილია, საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისა და ბრძანებულების საფუძველზე რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების მოთხოვნის უფლება აქვს კომლის ბოლო გარდაცვლილი წევრის მემკვიდრეს.

5. საკომლო წიგნის ჩანაწერების საფუძველზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის განხორციელების შემდეგ, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ პირებს რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე საერთო საკუთრების უფლება წარმოეშობათ და, ერთ-ერთი თანამესაკუთრის გარდაცვალების შემთხვევაში, მის წილზე საკუთრების უფლება გადადის მემკვიდრეობით.
6. იმ შემთხვევაში, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტის სახით წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის საგადასახადო სია, მოთხოვნილია ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხულ, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება ან N:327 ბრძანებულების საფუძველზე რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება, უძრავ ნივთზე რეგისტრირდება კომლის წევრთა თანასაკუთრების უფლება. ასეთ დროს რეგისტრაციის მიზნებისთვის გამოიყენება კომლის წევრების შემადგენლობის შესახებ ეროვნულ არქივში დაცული ინფორმაცია, ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
7. №327 ბრძანებულების საფუძველზე უძრავი ნივთი რეგისტრირებულად ითვლება, თუ სააღრიცხვო ბარათზე ან/და საკადასტრო რუკაზე დატანილია ბეჭედი ან/და რეგისტრატორის ხელმოწერა.
8. იმ შემთხვევაში, თუ საკომლო წიგნის ჩანაწერების შესაბამისად, მიწის რეფორმის შემდგომ პერიოდში მიწის ნაკვეთის ფართობი მცირდება, ამასთან, არც ეროვნულ არქივში, არც შესაბამის მუნიციპალიტეტსა და არც სააგენტოში არ არის დაცული დოკუმენტაცია/ინფორმაცია მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირების საფუძვლების/მიზეზების შესახებ, რეგისტრაცია ხორციელდება მიწის რეფორმის პერიოდის ბოლო მონაცემების შესაბამისად.
9. იმ შემთხვევაში, თუ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი ან მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი და დაინტერესებული პირის სახელისა და გვარის იდენტური მონაცემებით სააგენტოში დაცულია N:327 ბრძანებულების საფუძველზე შედგენილი სააღრიცხვო ბარათი, სააგენტო იღებს სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილებას და დაინტერესებულ პირს სთავაზობს, დააზუსტოს მოთხოვნა სააღრიცხვო ბარათის კუთვნილებასთან

დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი დააზუსტებს მოთხოვნას და დაადასტურებს, რომ სააღრიცხვო ბარათში ასახული და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთები იდენტურია, რეგისტრაცია წარმოებს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის ტრანზაქციით.

10. თუ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე ნაკვეთების მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია არ შეესაბამება სააგენტოში დაცულ მონაცემებს, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა დასტურდება მომიჯნავედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა კანონით დადგენილი წესით დამოწმებული თანხმობით.

## 28.2. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობზე საკუთრების საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესი

35

1. საჯარო რეესტრში შენობა-ნაგებობაზე რეგისტრირებული საკუთრების უფლება ვრცელდება ამ შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობზე. რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება რეგისტრირდება მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის შესაბამისად.
2. თუ უფლებამოსილისახელმწიფო ორგანოს მიერ განკარგულია მხოლოდ შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთზე დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება რეგისტრირდება ამ შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობის შესაბამისად.
3. თუ მიწის ნაკვეთზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკადასტრო აღწერის შედეგების შეჯერებით დადგინდა, რომ შენობა-ნაგებობის ფართობი ან/და კონფიგურაცია შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშეა შეცვლილი, საკუთრების უფლება რეგისტრირდება ამ შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობის შესაბამისად. რეგისტრაცია დასაშვებია, თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებულ ფართობს არაუმეტეს 10 პროცენტით აღემატება.
4. თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებულ ფართობს 10 პროცენტზე მეტით აღემატება, შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების მთელ ფართობზე

<sup>35</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-12 მუხლი

საკუთრების უფლების რეგისტრაცია დასაშვებია, თუ ზედმეტად დაკავებულფართობზე წარდგენილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებისდამადასტურებელი დოკუმენტი.

5. ამმუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზედმეტად დაკავებულ მიწისნაკვეთზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მარეგისტრირებელი ორგანოსთვის წარუდგენლობის შემთხვევაში საკუთრების უფლება რეგისტრირდება მიწის ნაკვეთზე უფლების დამადასტურებელდოკუმენტში მითითებულ განაშენიანების ფართობზე, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულიდასაშვები ცდომილების გათვალისწინებით.
6. თუ ზედმეტი განაშენიანებული ფართობისთვის არ იქნა წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კონტრაქტორი მოამზადებს და ატვირთავს მონაცემებს, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისთვის განაცხადის წარსადგენად გასაჯაროების შემდეგ სააგენტოს ინტერნეტზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. შემდეგ კომისია იმოქმედებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის შესაბამისად (2007 წლის 20 სექტემბერი).

### **28.3. სხვა პირების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია<sup>36</sup>**

1. საჯარო რეესტრში მოსარგებლის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველია მართლზომიერ მესაკუთრეს და მოსარგებლეს შორის წერილობითი შეთანხმება, რომელზედაც მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობას ადასტურებს ნოტარიუსი, და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი.
2. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირსა და მოსარგებლეს შორის ფორმის დაუცველად (ზეპირად ან წერილობით) დადებული გარიგების არსებობის ფაქტი დგინდება მხარეებს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით, რომელზედაც მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობას ადასტურებს ნოტარიუსი. ეს მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

ამ მუხლით დადგენილ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირის, ისე მოსარგებლის უფლებამონაცვლე.<sup>37</sup>

<sup>36</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-8 მუხლი.

## **28.4. თვითნებურად დაკავებული მიწები, რომლებიც ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას**

საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგი მიწა:

1. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული).
2. კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტიდან სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული.

## **28.5. თვითნებურად დაკავებული მიწები, რომლებიც არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას<sup>38</sup>**

1. საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარება თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგი მიწა:

ა) პირუტყვის გადასარევი ტრასა;

ბ) წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა, გარდა იმ მიწის ნაკვეთებისა, რომელთა საკუთრებაში გადაცემა და გამოყენება შესაძლებელია „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

<sup>37</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესის, მე-7 მუხლის მე-4 პარაგრაფი.

<sup>38</sup>„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლი.

გ) სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მიწა, გარდა იმ მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც დაკავებულია ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ, რომელთა საკუთრებაში გადაცემა შესაძლებელია სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის შესაბამისად და რომელთა სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვა ხელს არ შეუშლის სახელმწიფო ტყის ფონდის მართვისა და დაცვის განხორციელებას;

დ) დაცული ტერიტორია, გარდა დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა;

ე) რეკრეაციული დანიშნულების პარკი, ტყე-პარკი, სკვერი და სხვა ტერიტორია, გარდა საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მქონე ტერიტორიებისა;

ვ) ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლები;

ზ) საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთი (მოედანი, ქუჩა, გასასვლელი, გზა, ტროტუარი, სანაპირო), დასასვენებელი ადგილი (პარკი, ტყე-პარკი, სკვერი, ხეივანი), დენდროლოგიური პარკი და ბოტანიკური ბაღი;

თ) თუ მასზე განთავსებულია წყალსაცავი, ჰიდროტექნიკური ნაგებობა და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი ზონები;

ი) თუ მასზე განთავსებულია საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის (სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგაყვანილობის) ობიექტები;

კ) სპეციალური დანიშნულების (თავდაცვისა და მობილიზაციისათვის განკუთვნილი) მიწის ნაკვეთები;

ლ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტებით დაკავებული მიწის ნაკვეთი, მათ შორის, ის მიწის ნაკვეთი, რომელზე განთავსებული სახელმწიფო ქონებაც, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ ექვემდებარება პრივატიზებას;

მ) სასაფლაო და პანთეონი;

ნ) სანიტარიული და დაცვითი ზონები;

ო) თუ იგი განკუთვნილია ნავთობისა და გაზის მაგისტრალური მილსადენებისა და მათთან დაკავშირებული მიწისქვეშა და მიწისზედა საშუალებების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის.

2. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული მაგისტრალური მილსადენების დაცვის III და IV ზონებში თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

3. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, საკუთრების უფლებისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია (სისტემური რეგისტრაცია) ხორციელდება „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კანონისა და ამ კანონის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

## **28.6. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების წესი<sup>39</sup>**

1. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენა კომისიაში.

2. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოთხოვნის შესაბამისობა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან.

---

<sup>39</sup> „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს:

ა) მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მოწმის ჩვენება;

ბ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი, ხოლო ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი, რომელზედაც მითითებული უნდა იყოს მაგისტრალური მილსადენის ადგილმდებარეობა და მაგისტრალურ მილსადენსა და მიწის ნაკვეთს შორის მანძილი;

გ) ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობის დასადგენად;

დ) დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები.

4. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კომისია დაინტერესებული პირის განცხადებას განიხილავს მისი მიღებიდან 2 თვის ვადაში. თუ საკუთრების უფლებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია 2 თვეზე მეტი ვადა, კომისია უფლებამოსილია განცხადების განხილვის ვადა დამატებით გაზარდოს არაუმეტეს 6 თვით.

5. სავარაუდო მემკვიდრეზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის შემდეგ სამკვიდრო მოწმობის გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს ან განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით არ დასტურდება თვითნებურად დაკავების ფაქტი, კომისია იღებს წერილობით გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე. ამგვარი მიწის ნაკვეთი 1 წლის ვადით, პირობითად რეგისტრირდება სახელმწიფოს საკუთრებად ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამ 1 წლის ვადაში სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს არა აქვს უფლება განკარგოს ეს ნაკვეთი ან დააწესოს მასზე შეზღუდვები.

თითოეული ამგვარი შემთხვევისთვის პროექტის ძირითადი გუნდი მოამზადებს სპეციალურ ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მთელ დამადასტურებელ დოკუმენტებს და ინფორმაციას.

სააგენტო ანგარიშვალდებულია ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს წინაშე და მიმართავს მას თხოვნით შეწყვიტოს ყველა სამართლებრივი მოქმედება ამ ქონებასთან მიმართებაში საპილოტო პროექტის - მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის განხორციელების პერიოდში.

7.საკუთრების უფლების აღიარების კომისია გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მის კომპეტენციაში არსებულ საკითხებზე.

## 29. ტიპური პრობლემების მოგვარება

### 29.1. თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები

კონტრაქტორმა უნდა დაადგინოს თვითნებურად დაკავებული მიწები. თუ საკადასტრო აღწერის შედეგებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შეჯერებით დადგინდა, რომ სარეგისტრაციო ობიექტი სრულად არ არის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწისნაკვეთი,<sup>40</sup> კონტრაქტორი მოამზადებს საჭირო მონაცემებს სააგენტოს მიერ საკუთრების აღიარების უფლების კომისიისთვის წარსადგენად მონაცემთა გასაჯაროების შემდეგ<sup>41</sup>. ამ მიზნით:

1. დაინტერესებული პირის წინასწარი თანხმობით, კონტრაქტორი სააგენტოს სთხოვს დამატებით ინფორმაციას ადმინისტრაციული საჩივრების და მიწათსარგებლობის ტიპის შესახებ.

2. სააგენტოს შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი, აგრეთვე სარეგისტრაციო და მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია/ინფორმაცია და მართლზომიერი მფლობელობის არარსებობის დადასტურება.

3. კომისიის მომართვის შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია, 2 სამუშაო დღის ვადაში განსაზღვროს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ტერიტორიული ერთეულის თანამშრომელი, რომელიც მოცემულ საქმეზე წარმოადგენს სააგენტოს კომისიის სხდომაზე.

<sup>40</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესის მე-8 მუხლი.

<sup>41</sup>პროექტის ძირითად გუნდს ასევე შეუძლია განაცხადის წარდგენა საკუთრების ნუფლების აღიარების კომისიისთვის.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილების მიღებამდე მოუსმინოს შუამდგომლობის ავტორს.<sup>42</sup>

## 29.2. სასაზღვრე მიჯნაზე მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობა <sup>43</sup>

1. მიწის ნაკვეთების სასაზღვრო მიჯნაზე მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თუ სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვის შედეგად მიღებული ჯამური ფართობი შეესაბამება უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებში მითითებული ფართობების ჯამს, მიწის ნაკვეთები მხარეთა თანხმობით რეგისტრირდება ერთ საკადასტრო ერთეულად, თუ არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელის შეშლელი გარემოება. ასეთ შემთხვევაში ამონაწერში აისახება ინფორმაცია მიწის ნაკვეთების სასაზღვრო მიჯნის დაუდგენლობის შესახებ, ხოლო მხარეთა შორის დავას წყვეტს სასამართლო (ან, მხარეთა შეთანხმებით, არბიტრაჟი) საზიარო უფლების გაუქმებისათვის დადგენილი წესით.

2. მიწის ნაკვეთების ერთ საკადასტრო ერთეულად რეგისტრაციაზე მხარეთა თანხმობის არარსებობის შემთხვევაში თითოეული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვა ხორციელდება დაინტერესებული პირების მიერ მითითებული საზღვრების გათვალისწინებით. ამ წესით შედგენილი მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები არ საჭიროებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მიერ დადასტურებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები და სარეგისტრაციო დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით გათვალისწინებული პირობითი განცხადებების შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაციის საფუძველია. ამ წესით დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება ჩერდება მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრამდე და მასზე არ ვრცელდება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული უფლებათა რეგისტრაციის და რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობის წესი.

## 29.3. მყარი სასაზღვრო მიჯნით შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია <sup>44</sup>

1. თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკადასტრო აღწერის შედეგების

<sup>42</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-9 მუხლი.

<sup>43</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-10 მუხლი.

<sup>44</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესის მე-10 მუხლი.

შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ მყარი სასაზღვრო მიჯნით შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთის ფართობი სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებულ ფართობს, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ ფართობს ან ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათში დაფიქსირებულ დაუზუსტებელ ფართობს არაუმეტეს 15 პროცენტით აღემატება, მიწის ნაკვეთი რეგისტრირდება მისი საკადასტრო აღწერის შედეგად დადგენილი, მყარი სასაზღვრო მიჯნით შემოსაზღვრული ფართობის შესაბამისად.

2. მყარ სასაზღვრო მიჯნას წარმოადგენს ღობე ან საზღვრად გამოყენებული სხვა ნაგებობა, რომელიც მყარად არის დაკავშირებული მიწასთან და რომლის გადაადგილებაც შეუძლებელია მისი ან მისი ნაწილის განადგურების ან დანიშნულების მოსპობის გარეშე, რომლითაც შესაძლებელია მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი საზღვრის დადგენა და არსებობდა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე.

3. ეს წესი ეხება მხოლოდ მყარი სასაზღვრო მიჯნით შემოსაზღვრულ მიწის ნაკვეთს, რომელიც მყარად არის დაკავშირებული მიწასთან. ზედმეტად დაკავებული განაშენიანებული ფართობისთვის კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს და ატვირთოს მონაცემები, რომელიც აუცილებელია სააგენტოს მიერ საკუთრების უფლების აღიარების კომისიისთვის განაცხადის წარსადგენად მონაცემების გასაჯაროების შემდეგ სააგენტოს ინტერნეტზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. ამის შემდეგ კომისია იმოქმედებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის (2007 წლის 20 სექტემბერი) შესაბამისად.

## 29.4. რეგისტრაცია არასრულყოფილი ან ურთიერთშეუსაბამო საიდენტიფიკაციო მონაცემების არსებობის შემთხვევაში<sup>45</sup>

1. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის იდენტიფიცირებისა და პირადობის დადასტურებისათვის გამოიყენება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

<sup>45</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-13 მუხლი .

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზა.

2. თუ დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტსა და სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული სახელები ან/და გვარები ერთმანეთს არ შეესაბამება, გადაწყვეტილება მიიღება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

# საჯაროდ გამოცხადება

რეგისტრაციის პროცესში მოპოვებული და საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდის/მუნიციპალური სამუშაო ჯგუფის მიერ დამტკიცებული მონაცემები გამოქვეყნდება საჯარო გაცნობისთვის<sup>46</sup> და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ამ მონაცემების გადამოწმება. თუ დაინტერესებული პირი არ ეთანხმება ამ ინფორმაციას, მას უფლება აქვს მიმართოს განცხადებით სააგენტოს. თუ საჯარო გაცნობისთვის გამოქვეყნებული ინფორმაცია არ იქნა ამგვარად გასაჩივრებული, ის ჩაითვლება დამტკიცებულად და იურიდიული ძალის მქონედ.

საჯაროდ გამოცხადების პროცედურები განსაზღვრულია „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის, საკადასტრო აზომვის შედეგების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის, მათი გადამოწმებისა და შესაბამისი ცვლილების შეტანისა და მედიატორის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №153 ბრძანების დანართებში. 1-ლი დანართის მე-2 მუხლის შესაბამისად:

- საპილოტო პროექტის ფარგლებში საკადასტრო აღწერის შედეგები თვეში ერთხელ ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე<sup>47</sup>, ასევე, შესაბამისი მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე<sup>48</sup>, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, ყველასათვის ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილზე. მოძრაობის უნარშეზღუდული პირებისთვის, რომლებმაც მიუთითეს ეს გარემოება განაცხადის ფორმაში, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჯარო გამოცხადებისას წარმოდგენილი ინფორმაციის წვდომის ალტერნატიული საშუალებები.
- დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ გასაჯაროებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში მიმართონ სააგენტოს, საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმების მოთხოვნით. დაინტერესებულ პირებს უნდა ეცნობოთ ამ უფლების შესახებ.
- საჯაროდ გამოცხადების მიზნებისთვის საოფისე ფართი უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტმა. ის ავეჯით უნდა იყოს გაწყობილი,

<sup>46</sup> „საჯარო გაცნობა“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №153 ბრძანებით „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის, საკადასტრო აღწერის შედეგების საჯარო გაცნობისათვის წარდგენის, მათი გადამოწმებისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და მედიატორის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული წესით.

<sup>47</sup> [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge).

<sup>48</sup> ასეთის არსებობის შემთხვევაში

შესაფერისი უნდა იყოს შეხვედრებისთვის და უნდა უზრუნველყოფდეს ტექნიკურ პირობებს, რომლებიც 31-ე პარაგრაფშია აღწერილი.

## 30. კონტრაქტორის მომზადება და მონაწილეობა

კონტრაქტორა უნდა მოამზადოს 26.2 პარაგრაფში ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი საჯაროდ გამოქვეყნებისთვის.

## 31. წარსადგენი დოკუმენტაცია

საჯაროდ გამოქვეყნებული დოკუმენტები მოიცავს შემდეგს<sup>49</sup>:

- 31.1. კედელზე განსათავსებელი საპილოტო პროექტის ფართობის რუკას შესაბამის მასშტაბში სარეგისტრაციო ბლოკების დასადგენად, რომელიც შედგება ორთოფოტოებისგან, სარეგისტრაციო ბლოკების საზღვრების დატანით.
- 31.2. თითოეული სარეგისტრაციო ბლოკის აზომვითი ნახაზის ნაბეჭდას 1:1000-1:2000 მასშტაბებში კედელზე განსათავსებლად, რომელიც შედგება ორთოფოტოებისგან, 23.4 პარაგრაფში განსაზღვრული მონაცემების დატანით. ძველ საზღვრები შავად არის ნაჩვენები, ახალი - ყვითლად.
- 31.3. მიწისმესაკუთრეთა სიას თითოეულ სარეგისტრაციო ბლოკში ქალაქის ვერსიის და XLSX ფაილის ფორმით.
- 31.4. საკადასტრო აზომვის/აგეგმვის დაწყება-დასრულების თარიღებს თითოეული სარეგისტრაციო ბლოკისთვის PDF ფორმატში.

## 32. განცხადება

საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს სააგენტოს და მუნიციპალიტეტის ვებგვერდებზე.<sup>50</sup>

<sup>49</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესი, მე-2 დანართი, მე-2 მუხლის მე-2 პარაგრაფი

<sup>50</sup>ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საჯაროდ გამოცხადების დაწყების თარიღი უნდა გამოცხადდეს რადიოში, ტელევიზიით და,სულ მცირე, ორ ეროვნულ გაზეთში. ეს ინფორმაცია უნდა განმეორდეს თანამიმდევრობით 5 დღის განმავლობაში საჯაროდ გამოცხადებამდე და საჯაროდ გამოცხადების ბოლო 5 დღის განმავლობაში.

საჯაროდ გამოცხადებამდე,სულ მცირე, 3 დღით ადრე უნდა გამოიკრასპოსტერები საზოგადოებრივ ადგილებში და მოსახლეობას დაეგზავნოთ ბროშურები. მასალებში მითითებული უნდა იყოს საჯაროდ გამოცხადების დაწყება-დასრულების თარიღები, სამუშაო საათები, როდესაც მოსახლეობას შეუძლია მონაცემებს გაეცნოს, აგრეთვე მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს შედეგების გადამოწმება და გაასაჩივროს, მისი აზრით, არასრული ან მცდარი მონაცემები. პოსტერები და ბროშურები თავის ადგილას უნდა იყოს საჯაროდ გამოცხადების მთელი პერიოდის განმავლობაში.

საჯაროდ გამოცხადების პერიოდში ვიზიტორებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბროშურები ქალთა საკუთრების უფლებების შესახებ და სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენი. ამ ბროშურებში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ქალებისთვის მიწის რეგისტრაციის მნიშვნელობის, მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების, ერთპიროვნული ან საზიარო ქონების რეგისტრაციის სარგებლის და საკუთარი უფლებების მოთხოვნის და დამტკიცების შესახებ.

### **33. პროექტის ძირითადი გუნდის სამუშაო**

მუნიციპალური სამუშაო ჯგუფის რეგიონული ფასილიტატორი (იხ. 2.9 პარაგრაფი) მონაცემების გასაჯაროების დროს 10 დღის განმავლობაში ყოველ სამუშაო დღეს ოფისში უნდა იმყოფებოდეს დილის 9 საათიდან 18 საათამდე აზომვების შედეგების გადამოწმების შესახებ განაცხადების მისაღებად.

### **34. კონტრაქტორის სამუშაო**

კონტრაქტორის,სულ მცირე, ერთი სპეციალისტი მონაცემების გასაჯაროების დროს 10 დღის განმავლობაში ყოველ სამუშაო დღეს ოფისში უნდა იმყოფებოდეს დილის 9 საათიდან 18 საათამდე აზომვის შედეგების განმარტებისთვის.

## 35. საკადასტრო აღწერის შედეგების გადამოწმება

დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უფლება აქვთ მიმართონ განცხადებით პროექტის ძირითად გუნდს საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმების მოთხოვნით<sup>51</sup>. განაცხადი უნდა წარედგინოს რეგიონულ ფასილიტატორს (იხ. 2.9 პარაგრაფი).

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს შეუძლია საკუთარი ინიციატივით გამოსცეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც გადამოწმების საფუძველს შეადგენს<sup>52</sup>.

საკადასტრო აღწერის შედეგებს სააგენტო გადამოწმებს შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. სააგენტო უფლებამოსილია ადგილზე შეამოწმოს საკადასტრო აღწერის შედეგების სისწორე მესაკუთრის, საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირის, დაინტერესებული პირის ან/და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით<sup>53</sup>.

კონტრაქტორი შეასრულებს ტექნიკურ საველე სამუშაოებს პროექტის ძირითადი გუნდის ზედამხედველობის ქვეშ.

პროექტის ძირითადი გუნდი ვალდებულია დაინტერესებულ პირებს შეატყობინოს საკადასტრო აღწერის შედეგების ადგილზე გადამოწმების თარიღი და დრო<sup>54</sup>. თუ დაინტერესებული პირი ვერ ესწრება საჯაროდ გამოცხადების პროცესს, გადამოწმება უნდა მოხდეს მის გარეშე და დაინტერესებულ პირს ეცნობება გადამოწმების შედეგების შესახებ.

საკადასტრო აღწერის შედეგების გადამოწმების საფუძველზე, პროექტის ძირითადი გუნდი უფლებამოსილია შეცვალოს საკადასტრო აღწერის შედეგად შედგენილი საკადასტრო რუკა, სარეგისტრაციო ბლოკის გეგმა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა ნუსხა, წარდგენილი საჯაროდ გამოცხადების დროს<sup>55</sup>. საპილოტო პროექტის ფარგლებში შესრულებული საკადასტრო აღწერის შედეგების გადამოწმების საფუძველზე შეცვლილი სარეგისტრაციო ბლოკის გეგმა უნდა

<sup>51</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესი, მე-2 დანართი, 1-ლი მუხლი

<sup>52</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესი, მე-2 დანართი, მე-5 მუხლი

<sup>53</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესი, მე-2 დანართი, მე-5-ლი მუხლი

<sup>54</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესი, მე-2 დანართი, მე-2 მუხლი

<sup>55</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესი, მე-2 დანართი, მე-3 მუხლი

დადასტურდეს მესაკუთრეთა ან საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონეპირთა ხელმოწერით.<sup>56</sup>

## ხარისხის კონტროლი

---

ხარისხის კონტროლი ხორციელდება ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. მას ერთობლივად ახორციელებს კონტრაქტორი, საპილოტო პროექტის ძირითადი გუნდი, გეოდეზიის და გეოინფორმაციის დეპარტამენტი, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტი და დაინტერესებული პირები, აქედან:

- კონტრაქტორები- შიდა ხარისხის კონტროლს ტექნიკური საველე სამუშაოების დროს, აზომვის შედეგების დამოწმებისას და საბოლოოდ წარდგენის წინ. პროექტის ძირითად გუნდს წარედგინება მხოლოდ ის მონაცემები, რომელმაც გაიარა კონტრაქტორის შიდა ხარისხის კონტროლი;
- პროექტის ძირითადი გუნდი - ხარისხის კონტროლს ტექნიკური საველე სამუშაოებისას, საჯარო გამოცხადებამდე, აზომვის შედეგების დამოწმებისას, საბოლოოდ წარდგენისას და რეგისტრაციის შემდეგ. რეგისტრაციისთვის წარდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ პროექტის ძირითადი გუნდის მიერ შემოწმებული მონაცემები;
- გეოდეზიის და გეოინფორმაციის დეპარტამენტი და ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტი - ხარისხის კონტროლს რეგისტრაციის წინ. საჯარო რეესტრში შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ ის მონაცემები, რომელიც შემოწმდა გეოდეზიის და გეოინფორმაციის დეპარტამენტის და ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ;
- დაინტერესებული პირები ამოწმებენ მათი ნაკვეთების შესახებ მონაცემებს საჯარო გამოცხადების დროს.

## საჩივრების განხილვა

---

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ კითხვების, კომენტარების და საჩივრების მომზადება და წარდგენა პროექტის ძირითადი გუნდისთვის მუნიციპალიტეტში არსებული ოფისიდან. რეგიონული ფასილიტატორი აღნიშნავს და აღწერს ამ

---

<sup>56</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესი, მე-2 დანართი, მე-4 მუხლი

ინფორმაციის მიღებას. პროექტის ძირითადი გუნდი შეისწავლის საკითხს და მოამზადებს პასუხს, რომელიც შემდეგ ოფიციალურად გადაეცემა დაინტერესებულ პირებს 10 კალენდარული დღის ვადაში. საჭიროებისამებრ, პროექტის ძირითად გუნდს შეუძლია მოსთხოვოს განმარტებები კონტრაქტორს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს ან ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს.

## დავების გადაწყვეტა

საპილოტო პროექტში გამოყენებული უნდა იქნეს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები მხარეთა შორის კონფლიქტების მოსაგვარებლად, სტანდარტული სასამართლო პროცედურების გარეშე. თუ დავის მოგვარება ამ გზით ვერ მოხერხდა, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, როგორც ეს კანონშია გათვალისწინებული.

### 36. დავების გადაწყვეტის არაოფიციალური მექანიზმი

დავების გადაწყვეტის არაოფიციალურ მექანიზმში მონაწილეობას იღებენ რეგიონული ფასილიტატორი ან/და კონტრაქტორი. არც ერთ მათგანს არა აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება რეგისტრაციასთან დაკავშირებით, მაგრამ შეუძლიათ ხელი შეუწყონ მხარეთა შორის კომუნიკაციას. მათი ძირითადი ამოცანაა, იპოვონ საერთო წერტილი დიალოგის დასაწყებად. ფასილიტატორი უნდა დაეხმაროს მხარეებს სიტუაციის გაანალიზებაში თითოეულ მათგანთან ცალკე შეხვედრის საშუალებით. ის უნდა ეცადოს გამოავლინოს მხარეების მოტივები, გააკეთოს განმარტებები და მიაღწიოს კონსენსუსს. ფასილიტატორმა ხელი უნდა შეუწყოს კომუნიკაციას და ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისთვის, მაგრამ არ უნდა მიიღოს უშუალოდ მონაწილეობა მხარეთა შორის მოლაპარაკებებში.

#### 36.1. კონტრაქტორის მონაწილეობა

კონტრაქტორის დახმარება დავების გადაწყვეტაში მოიცავს შემდეგს:

- პრობლემის ობიექტურად შესწავლა და ტექნიკური მონაცემების შეგროვება, დაინტერესებული პირისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიუხედავად;

- სივრცითი მონაცემების სხვადასხვა წყაროს შედარება, რომლის მიხედვით გაისაზღვრება, შეიცვალა თუ არა მიწათსარგებლობა დროთა განმავლობაში და გადაადგილდა თუ არა საზღვრები.

## 36.2. რეგიონული ფასილიტატორის მონაწილეობა

რეგიონული ფასილიტატორი მონაწილეობას მიიღებს დავების გადაწყვეტის პროცესში, შემდეგი საქმიანობის გზით:

- მხარეთა შორის კომუნიკაციის დამყარება;
- რეგისტრაციის პროცესის განმარტება;
- საკითხების განმარტება და დავის გადაწყვეტის ვარიანტების შეთავაზება.

## 37. დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი

თუ შეუძლებელია დავის გადაწყვეტა კონტრაქტორის დახმარებით, კონტრაქტორმა უნდა დანიშნოს შეხვედრა მედიატორთან/მედიატორ ნოტარიუსთან.

გადაწყვეტილებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, მხარეებმა ერთობლივი შეთანხმებით უნდა შეარჩიონ მედიატორი სააგენტოს მიერ მომზადებული ჩამონათვალიდან. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მედიატორს დანიშნავს სააგენტო.

მედიაცია სრულდება სანოტარო მედიაციისათვის მიმართვიდან/საქმეში მედიატორის ჩართვიდან არაუგვიანეს 3 კვირისა.

შეთანხმების მიუღწევლობის ან სანოტარო მედიაციის შეწყვეტის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება მიიღებაკანონში მითითებული წესების შესაბამისად<sup>57</sup>.

მედიაციის პროცესის დეტალური აღწერა მოცემულია მე-3 დანართში.

<sup>57</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პარაგრაფი

# რეგისტრაცია

პროექტის რეგისტრაციის დეპარტამენტში რეგისტრატორის მიერ დოკუმენტაციის და აზომვითი ნახაზების კანონთან შესაბამისობის დადგენის და ხარისხის გადამოწმების შემდეგ, ის წარუდგენს მათ გეოდეზიის და გეოინფორმაციის დეპარტამენტს, სადაც საკადასტრო აზომვების სპეციალისტები შეიტანენ მიწის ნაკვეთს სააგენტოს საკადასტრო ელექტრონულ ბაზაში.

ბაზაში წარმატებით ინტეგრაციის შემდეგ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტი აწარმოებს რეგისტრაციას რეგისტრაციის მოთხოვნების შესაბამისად (38-ე თავი)

თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში პროექტის რეგისტრაციის დეპარტამენტი კონტრაქტორის მომზადებულ განაცხადს წარუდგენს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას (იხ. 29.1 პარაგრაფი) და აწარმოებს რეგისტრაციას კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

## 38. რეგისტრაციის მოთხოვნები

რეგისტრატორი საჯაროდ აწარმოებს რეგისტრაციას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად<sup>58</sup>

### 38.1. მართლზომიერ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია<sup>59</sup>

1. თუ საპილოტო პროექტის ფარგლებში სამუშაოების შესრულების შედეგად დადგინდა, რომ მართლზომიერი მფლობელის ადგილსამყოფელი უცნობია, საჯარო რეესტრში აისახება ინფორმაცია ამ პირის მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის უფლების შესახებ, ხოლო თუ მართლზომიერი მფლობელი გარდაცვლილია და მისი უფლებამონაცვლე ვერ დგინდება, საჯარო რეესტრში აისახება ინფორმაცია გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლის მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის უფლების შესახებ. მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის უფლების შესახებ ჩანაწერი ძალაშია, სანამ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შესამღებელი იქნება საკუთრების უფლების აღიარება.

<sup>58</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-7 მუხლი

<sup>59</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-7 მუხლი

2. თუ საპილოტო პროექტის ფარგლებში მართლზომიერი მფლობელი ან მისი უფლებამონაცვლე უარს აცხადებს საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, საჯარო რეესტრში აისახება ინფორმაცია ამ პირის მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის უფლების შესახებ. მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის უფლების შესახებ ჩანაწერი ძალაშია 3 წლის განმავლობაში. თუ ამ ვადაში მართლზომიერი მფლობელი ან მისი უფლებამონაცვლე მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ არ დარეგისტრირდება, ეს ჩანაწერი გაუქმდება.
3. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ ვადებში მართლზომიერი მფლობელი ან მისი უფლებამონაცვლე მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ რეგისტრირდება და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის უფლების შესახებ ჩანაწერი უქმდება განცხადებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე, სახელმწიფო ქონების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანოს თანხმობის გარეშე.
4. მიწის ნაკვეთი, რომელზედაც საპილოტო პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შედეგად ვერ დადგინდება მესაკუთრის/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირის უფლების არსებობა, 1 წლის ვადით, პირობითად რეგისტრირდება სახელმწიფოს საკუთრებად ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამ 1 წლის ვადაშისახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს არა აქვს უფლება განკარგოს ეს ნაკვეთი ან დააწესოს მასზე შეზღუდვები.

თითოეული ამგვარი შემთხვევისთვის პროექტის ძირითადი გუნდი მოამზადებს სპეციალურ ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მთელ დამადასტურებელ დოკუმენტებს და ინფორმაციას.

სააგენტო ანგარიშვალდებულია ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს წინაშე და მიმართავს მას თხოვნით შეწყვიტოს ყველა სამართლებრივი მოქმედება ამ ქონებასთან მიმართებით საპილოტო პროექტის მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის განხორციელების პერიოდში.

სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დაუდგენელი მესაკუთრის და მის მიერ მისაღებიზომების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ოფიციალური შეტყობინების და სააგენტოს ვებგვერდზე ბმულის, ასევე ადგილობრივ/ეროვნულ გაზეთში განცხადების გამოქვეყნების საშუალებით 1- წლიანი ვადის გასვლამდე 2-3 თვით ადრე.

მარეგისტრირებული უწყების გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ დებულებები (38.3 პარაგრაფი) ეხება დაუდგენელ მფლობელს.

5. აღნიშნულ ვადაში ამ მიწის ნაკვეთზე მესაკუთრის/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირის უფლება რეგისტრირდება დაინტერესებული პირის განცხადებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე, სახელმწიფო ქონების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანოს თანხმობის გარეშე, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ამ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირდება სახელმწიფოს საკუთრების უფლება.

### **38.2. მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირების საკუთრების უფლების რეგისტრაცია<sup>60</sup>**

- 3) თუ 28.3 პარაგრაფში განსაზღვრული წესით საკუთრების უფლების რეგისტრაციისას დადგინდა, რომ სარეგისტრაციო უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა ან საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირი მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირია, უძრავ ნივთზე რეგისტრირდება საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირის უფლება, ხოლო მოსარგებლის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **38.3. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა**

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად:

1. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს მისი ოფიციალურად გაცნობიდან, ხოლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემთხვევაში – გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
2. რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისა და ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისა, რომლის მიღების წინაპირობა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

---

<sup>60</sup>სისტემური და სპორადული რეგისტრაციის კანონის მე-8 მუხლი.

3. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება უფლების რეგისტრაციის, ასევე მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ საჩივრდება სასამართლო წესით. რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით.

4. რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს რეგისტრირებული მონაცემების მოქმედებას და არ კრძალავს ამ მონაცემების საფუძველზე ამონაწერის თუ სხვა სამართლებრივი აქტის გაცემას, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

5. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას

## გამოყენებული დოკუმენტაციის ნუსხა

---

### კანონები

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწისნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“

„საჯარო რეესტრის შესახებ“

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“

### კანონქვემდებარე აქტები

ქვემოთ ჩამოთვლილი კანონქვემდებარე აქტები ასახულია წინამდებარე სახელმძღვანელოში და ჩამოთვლილია მხოლოდ მითითებისთვის.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №351 „იმ დასახლებათა განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც ხორციელდება საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაცია“

იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №153 „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის, საკადასტრო აღწერის შედეგების საჯარო გაცნობისათვის წარდგენის, მათი გადამოწმებისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და მედიატორის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“.

## სახელმძღვანელოები

ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის მე-2 კომპონენტის საოპერაციო სახელმძღვანელო, 2016 წლის ოქტომბერი.

მიწისპილოტური რეგისტრაციის ფარგლებში საკადასტრო საველე/აზომვითი სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაციები, 2014– 2016წწ.

## სხვა

საპილოტო პროექტის სამუშაო გეგმა, 2015 წლის დეკემბერი

საპილოტო პროექტის საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, USAID G4G პროექტი, 2015 წლის თებერვალი

მიწის რეგისტრაციის და პილოტურ არეალებში საკადასტრო მონაცემების სრულყოფის სტრატეგია, 2015 წლის მაისი.

1-ლი დანართი. კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა  
მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად

---




Figure 3.Goals and approach to communication strategy.

Table 4. Action plan for raising public awareness.

Activity	2017										Performance Indicator	Resource Name	
	Mar	Apr	May	Jun	Jul	Aug	Sep	Oct	Nov	Dec			
<b>STRATEGIC GOAL 1: COMPREHENSIVE REGISTRATION OF LAND PARCELS THROUGH CONSULTATIONS AND FACILITATED ENGAGEMENT OF BENEFICIARIES</b>													
<b>1.1. Visual Branding of Local Offices</b>													
Selection and design of local offices												Office plots are chosen in every pilot area	NAPR
The equipment of offices with relevant techniques and inventory												All offices are equipped	NAPR
Design and install the name plates												Placed in every administrative unit	GIZ
Design and install the information stands													GIZ
Design and place the posters/banners													NAPR
Design and place a large map of the administrative unit													NAPR
Design and provide the staff uniforms (caps, shirts, bags)												All staff members are fully equipped	NAPR
Design and provide the staff badges													NAPR
<b>Budget</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>		
<b>1.2. Dissemination of Information Materials</b>													
Draft the narrative for information materials												Narrative and design are prepared and endorsed	NAPR
Design the information materials													NAPR

Activity	2017										Performance Indicator	Resource Name	
	Mar	Apr	May	Jun	Jul	Aug	Sep	Oct	Nov	Dec			
Print triplets												Materials are printed	GIZ
Draft the frequently asked questions												Narrative and design are prepared and endorsed	NAPR
Prepare the information schedules													NAPR
Disseminate the information materials in general public												3 meetings are held in each unit and 50 000 items of information materials are disseminated	NAPR
Organize informational meetings													NAPR
Informing Georgian citizens living abroad (through embassies and consulates)												Triplets are disseminated to 127 embassies, 9 consulates, 16 diaspora offices. The citizens got information by calling the hotline.	NAPR
<b>Budget</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>		
<b>1.3. Internet Communication</b>													
Create a Facebook page and communicate												Information is posted and has been seen by 500 000 users	NAPR
Place the information at Wikipedia													NAPR
Create a channel at YouTube and Internet communication													NAPR
Prepare informational schedules and statistical visuals												8 posts monthly	NAPR
Post regularly													NAPR
<b>Budget</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>		

Activity	2017										Performance Indicator	Resource Name	
	Mar	Apr	May	Jun	Jul	Aug	Sep	Oct	Nov	Dec			
<b>STRATEGIC GOAL 2: GUARANTEES CREATED FOR THE PROTECTION OF PROPERTY RIGHTS WITH PROMOTION RHETORIC OF THE REGISTRATION PROCESS</b>													
<b>2.1. Promotion and Information Campaign</b>													
Shoot a video clip												Placed in 7 TV companies	GIZ
Place a commercial through regional media													GIZ
Design an insert and place it in the printed media												5000 inserts are disseminated through regional newspapers	NAPR
Create flashbanners													NAPR
<b>Budget</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>		
<b>STRATEGIC GOAL 3: PROJECT PRESENTED AS A SUCCESS STORY TO TARGET GROUPS AND STAKEHOLDERS BY APPLYING CONSISTENT AND TRANSPARENT COMMUNICATION</b>													
<b>3.1. Film Shooting and Presentations</b>													
Shoot a film depicting the project implementation												5 minute film has been shot	NAPR
Compose a list of stakeholders												3 month schedule is designed and endorsed	NAPR
Negotiate with Stakeholders; Define a Schedule													NAPR
Organize meetings for the provision of information												12 meetings are held with various groups	NAPR /PPCT
Draft and disseminate a report on meetings													NAPR
<b>Budget</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>		
<b>3.2. Project Newsletter and Dissemination</b>													

Activity	2017										Performance Indicator	Resource Name		
	Mar	Apr	May	Jun	Jul	Aug	Sep	Oct	Nov	Dec				
Prepare a concept for the newsletter													NAPR	
Preparation of design options													NAPR	
Compose a list of addressees													NAPR	
Draft and disseminate the newsletter													NAPR	
<b>Budget</b>	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0		NAPR	
<b>STRATEGIC GOAL 4: NAPR PRESENTED IN POSITIVE REALM BY APPLYING ROLE MODEL INSTRUMENTS OF PROMOTION</b>														
<b>4.1. Media Coverage</b>														
Present the project													4 events have been held, 100 journalists have attended them	NAPR
Hold reporting press conferences														NAPR
Participate in TV and radio programs													60 media materials have been disseminated	NAPR
Place articles in the printed media														NAPR
Disseminate press-releases														NAPR
<b>Budget</b>	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0			

# საპილოტო პროექტის ბროშურები





NATIONAL AGENCY OF  
**PUBLIC  
REGISTRY**

**Register your land**  
title easily and become a landowner!

 **THE WORLD BANK**

 The European Union  
for Georgia  
EUA Justice: Support to the Justice Reform

 german  
cooperation  
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

 giz

*On November 21, 2014 the Ministry of Finance of Georgia and the International Development Association (IDA) of the World Bank Group concluded the Financing Agreement for the purpose of improving irrigation and drainage services in the selected areas, as well as the development of the rules and procedures for the national program of land registration. The first component of this project is being implemented by the Ministry of Agriculture of Georgia (MOA) and the second one – by the Ministry of Justice of Georgia through the National Agency of the Public Registry (NAPR).*

## About project

The Land Market Development Component envisages systematic registration of land titles in 12 settlements across Georgia specified in the GoG Regulation No 351 of July 28. Within the

